ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 2020 №230 (8494) ფასი: 60 თეთრი

ნიკა მელიას 70.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

მას მოეხსნა სამაჯური და დაუბრუნდა პასპორტი

გვ.5

„გახარია გადამალეს თუ დაიმალა?“

გვ.2



ლადო სადღობელაშვილი: „ვაშაძე, ელისაშვილი და „გირჩი“ პარლამენტში აუცილებლად შევლენ“

„საქართველოში პუტინს ვებრძვით. ივანიშვილი პუტინის „ნამესტნიკია“

გვ.3

გიორგი ბარამიძე: „უხერხულია, გუბაზ სანიკიძე მიშას მეგობრობაში მელიასა და მე შეგვეჯიბროს“

„პოლიტიკის ნაცვლად ახლა სახეზე გვაქვს ძალა!“

სოსო ცინცაძე: „ქუჩის ოპოზიცია“ მხოლოდ ქართული ფენომენია. სიმართლე გითხრათ, მსოფლიოში არსად გამიგია ეს ტერმინი. ეს ქართული ნოუჰაუა“



გვ.3

გვ.4

თამარ ჩხეიძე: „პარლამენტის ბოიკოტირებითა და პროტესტის გაგრძელებით ივანიშვილის ძალაუფლება შეირყევა“

„2016 წელს სხვა სიტუაცია იყო და ოპოზიცია პარლამენტში უნდა შესულიყო, დღეს სხვა ვითარებაა“

გვ.4

დავით ლორთქიფანიძე: „საარჩევნო კომისიაში ვინც კანონი დაარღვია, უნდა დაისაჯოს“

ბადრი ჯაფარიძე: „თუ ცესკო შედეგებს გააუქმებს, ეს ვითარებას შეცვლის“

„ჩვენი თვითმიზანი არ არის პარლამენტში არშესვლა“



გვ.2

ISSN 1987-9385

5 გიორგი კახიანი: „ნაციონალებს დამარცხების აღიარების ღირსება არ აქვთ“

2 სახელმწიფო დეპარტამენტი: „დარღვევებზე რეაგირება უნდა მოხდეს“

5 სუსი: „დევი ჭანკოტაძის შტაბის აქტივისტს აქციაზე ელექტროშოკური მოწყობილობა აღმოაჩნდა“

6 ვენაში, სინაგოგასთან, 4 ადამიანი მოკლეს

„გახარია გადამალეს თუ დაიმალა?“

ლადო სადღობელაშვილი: „ვაშაძე, ელისაშვილი და „გირჩი“ პარლამენტში აუცილებლად შევლენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, ოპოზიცია შეთანხმდა, რომ არ შევლენ პარლამენტში...

– თქვენ გჯერათ ამათი შეთანხმებების?! მე პირდაპირ გეტყვით, რომ ამათი შეთანხმებების არ მჯერა. ესენი შიგნით პარტიაში ვერ შეთანხმებულან და, როგორ გგონიათ, რამდენიმე პარტია შეთანხმდება?! ჩვენ მივიღებთ დაახლოებით ისეთივე პარლამენტს, როგორიც 2008 წელს მივიღეთ, გიორგი თარგამაძე რომ ვიხილეთ ნაცმოძრაობის სატელიტად, ქდმ-ს სახით. მაშინაც გამოჩნდნენ სხვადასხვა პარტიიდან პოლიტიკოსები, რომლებიც შევიდნენ მიშას პარლამენტში.

– ანუ შევა ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში?

– გამორიცხულია, რომ ამ 50 კაცში 10 მაინც არ ამოხტეს ისეთი, ვინც პარლამენტში შესვლას დასთანხმდება. რაც ჩვენ ვიხილეთ გუბაზის ვარიანტში, ეს ხომ პირდაპირ იმის ლუსტრაცია იყო, რომ ეს ადამიანი არ აპირებდა ხელის მოწერას, ანუ მას სურვილი ჰქონდა პარლამენტში შესვლის. ასეთი რამდენია?! ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ადამიანს, რომელიც ამ რევოლუციურ სცენარს ჩაიბარებს.

– რამდენად გამოვა დღეს რევოლუციური სცენარი?

– ოპოზიციას გაუჩნდება სურვილი, ფაშინიანის სცენარი გაათამაშონ, თუმცა „ოცნებას“ სულ სხვა სცენარი აქვს, ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, 2008 წლის მსგავსი.

– საით გადაწონის?

– ისეთი ადამიანები, როგორიცაა გიორგი ვაშაძე, რომელსაც ვანო ჩხარტიშვილი აკონტროლებს, იგივე ელისაშვილი, თუნდაც „გირჩი“ შევლენ პარლამენტში. დღეს ეს ხალხი თამაშობს, ვაჭრობს, ყველაფერი ბოლოს მაინც ფულსა და თანამდებობებზე გადის. ელისაშვილისა და იოსელიანისთვის პარლამენტში მოხვედრა არის ახდენილი ოცნება და, თქვენ როგორ გგონიათ, ესენი არ შევლენ პარლამენტში?! მე დარწმუნებული ვარ, რომ შევლენ!

– მაშინ, რა ხდება დღეს, ვაჭრობა მიდის?

– რა თქმა უნდა, ეს არის პირდაპირ ვაჭრობა.

– რაზე ვაჭრობენ?

– ადგილებზე, მანდატების მომატებაზე, ასევე – ფულზე. გაიხსენეთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც ბოკერია გამოეყო ნაციონალებს, მაშინ რამხელა თანხებზე იყო საუბარი. დღეს ბოკერია ჩუმად არის, არ აქტიურობს, რატომ? იმიტომ, რომ ძალიან კარგად იცის, თუ პარლამენტში არ შევა, დიდი ალბათობით, ციხეში აღმოჩნდება, ან თუნდაც ვინმეს წარმოუდგენია, რომ ნატო ჩხეიძე არ შევიდეს პარლამენტში?!

– ოპოზიცია აცხადებს, თუ არ შევალთ პარლამენტში, გაზაფხულზე მაინც დაინიშნება ახალი არჩევნებიო.

– შესაძლოა, გაზაფხულზე – არა, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, ეს პარლამენტი 4 წელი ნამდვილად ვერ გაძაჩავს.

– უშვებთ იმას, რომ თუ ოპოზიციამ პრინციპულობა შეინარჩუნა, ივანიშვილი დასთანხმდეს ხელახალ არჩევნებს?

– ამის შანსი მიზერია. თუ დასთანხმდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი აღიარებს გაყალბებას. ამიტომ, შანსი იმისა, რომ დასთანხმდეს, ძალიან მცირეა, მით უმეტეს, რომ მოვისმინეთ ამერიკის ელჩის განცხადება, ასევე ეუთოს მისიის, რომ იყო მცირე ხარვეზები, თუმცა არჩევნები მშვენივრად ჩატარდა. გაყალბებული ბიულეტენების რაოდენობა ვერ წონის შედეგს.

– იმას ყველა აღიარებს, რომ „ოცნება“ 42%-ს გადასცდა.

– კი, 45%-საც. ცდომილება არის 2-2,5%. აბსოლუტურად ჯდება იმ ცდომილებაში, რომელიც ედისონ რისერჩმა დადო. მართლაც რომ კარგი კვლევა ჩაატარა და მე დღეიდან ვენდობი ამ კომპანიის კვლევებს.

– მაშინ, რა გამოდის, ამ 2%-ის გამო ყვირის ოპოზიცია?

– და ვინ ყვირის? ვისაც ყველაზე მეტი ადამიანი შეჰყავს, ანუ ნაციონალური მოძრაობა. ბოკერია საერთოდ არ ყვირის. საქმე საქმეზე თუ მიდგება, „გირჩიც“ შევა.

– რა უნდა ნაციონალურ მოძრაობას, მიშა სააკაშვილის სცენარს ავითარებს?

– აი, ზუსტად ეგ არის! მიშას ის კი არ აინტერესებს, ნიკა მელია და კობა ნაყოფია პარლამენტში შევლენ თუ არა, მიშას იდეაფიქსია, მაქსიმალურად ისე აიმღვრეს წყალი საქართველოში, რომ მან აქ ჩამოსვლა შეძლოს და მართვის სადავეები ჩაიგდოს ხელში, მოახდინოს არეულობა. რევანშისტული ზრახვები აქვს.

– „ოცნებას“ დასჭირდება კოალიცია?

– ამის სიგნალები მოდის, რომ „ოცნება“ შეკრავს კოალიციას.

– რას იზამენ მაჟორიტარულ ნაწილში?

– ისე აიწია ტემპერატურამ, რომ არა მგონია, „ოცნებამ“ ყველა მაჟორიტარული ოლქი მოიგოს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ოპოზიციონერი მაჟორიტარები ამჟამად უარს აცხადებენ მეორე ტურში მონაწილეობაზე. მე მაინტერესებს, რა ნამუსით შეხედავს ნიკა მელია თავის გლდანელ ამომრჩეველს, თუ უარს იტყვის პარლამენტში შესვლაზე!

მაქსიმუმ, დეკემბრის შუა რიცხვებამდე გასტანოს ოპოზიციის მღელვარების ფორმამ. მერე ყველაფერი ჩაცხრება და შემსვლელები შევლენ პარლამენტში. ჩვენ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოგვრჩა, გახარიას პოზიცია. გახარია გადამალეს თუ დაიმალა?

– გახარიას კოვიდი დაუდასტურდა.

– ეს კორონა მხოლოდ მიზეზია და მეტი არაფერი. გახსოვთ, მანამდე ჰკითხეს გახარიას, ტესტს რატომ არ იკეთებთო და რა უპასუხა? თქვენ იმუშავებთ ჩემ მაგივრადო? ახლა ვინ მუშაობს მის მაგივრად? დღეს გახარია დაიმალა თუ გადამალეს, საკითხავი, აი, ეს არის.

– რაზე მიანიშნებთ?

– ეტყობა, მან ხელები დაიბანა, თითქოს ჩამოშორდა ამ პროცესებს. ვსვამ კითხვას, გახარია ხომ არ მიდის? ადრეც ვსაუბრობდი თქვენთან ინტერვიუებში ამ საკითხზე. როგორც ჩანს, დაიწყო შესამზადებელი პროცესი იმისთვის, რომ გახარია წავიდეს. ნელ-ნელა თიშავენ მას პროცესიდან. მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად არის საჭირო გახარიას ფაქტორი თუნდაც თვითონ „ოცნებისთვის“, სწორედ ამ დროს უჩინარდება.

ეს ცოტა საეჭვოა. მე ასე ვხედავ ამ ყველაფერს, რომ პრემიერი აუცილებლად შეიცვლება. შეიცვლება მას შემდეგ, რაც დაიწყება მთავრობის დაკომპლექტება.

ბადრი ჯაფარიძე: „თუ ცესკო შედეგებს გააუქმებს, ეს ვითარებას შეცვლის“

„ჩვენი თვითმიზანი არ არის პარლამენტში არშესვლა“

– ჩვენ გავასაჩივრეთ, ვასაჩივრებთ, ოქმების გაუქმებას ვითხოვთ და, თუ ეს ყველაფერი დაკმაყოფილდება, ვითარებას ცვლის.

ამის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა.

– თუ დავინახავთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კი არ დაიწერა 48%, არამედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაითვალისწინა ის, რომ მასობრივი დარღვევებია და გააუქმა შედეგები, მაშინ ეს ვითარებას შეცვლის, – დასძინა მან.

მისივე თქმით, საკმარისი მტკიცებულებებია იმისთვის, რომ არჩევნების შედეგები გაბათილდეს.

– საკმარისი მტკიცებულებები გროვდება იმისთვის, რომ საერთოდ არჩევნების შედეგების გაბათილება მოვითხოვოთ – აი, ამისკენ მივდივარ. ეს არჩევნები არის ისეთი დარღვევებით სავსე, რომ მისი შედეგი ლეგიტიმური ვერ იქნება. საბოლოო ჯამში ამ არჩევნებმა დაამახინჯა რეალური სურათი, ამას არ ჰქვია სამართლიანი გარემო – იყო მოსყიდვის ფაქტები, დაშინების, მუქარის ფაქტები, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ,

მისი თქმით, არის დილემა, რომ არჩევნების ლეგიტიმაციას ხელი შეუწყო და შეხვიდე პარლამენტში, შეეგუო ყველაფერს ან თქვა, რომ უარყოფ ამ არჩევნების ლეგიტიმაციას, უარს ამბობ მანდატებზე იმიტომ, რომ ეს არის მორალური თემაც.

– მე ვფიქრობ, რომ ეს არის პასუხისმგებლიანი ნაბიჯი იმ ამომრჩევლების მიმართ, რომლებმაც ხმა მოგვცეს და მათი ხმები არ აისახა შედეგებში. 250.000 ჩვენი მხარდამჭერი არ იყო რაიმე კვლევის შედეგი, ეს იყო რეალური ადამიანები სახელი და გვარით და პირადი მონაცემებით, რომლებიც მხარს გვიჭერდნენ და მათგან არჩევნებზე მივიდა 160.000 და დღევანდელი შედეგებით ხმა მოგვცა მხოლოდ 60.000-მა ამომრჩეველმა. იმ დარღვევების ფონზე, რომლებიც ამ არჩევნებზე დაფიქსირდა, რა თქმა უნდა, გიჩნდება ლეგიტიმური ეჭვი, რომ ხმები არის მიტაცებული, – აღნიშნა ბადრი ჯაფარიძემ.

„ლელოს“ აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც გულისხმობს გასაჩივრებას, სადაც დოკუმენტურად მტკიცდება, რომ შედეგები გაყალბებულია.

– თუ ვნახავთ, რომ ცესკო პასუხისმგებლიანად იქცევა, აუქმებს იმ ოქმებს, სადაც პირდაპირ არის დამახინჯებული ციფრები – თუ სურათი იცვლება, ჩვენი თვითმიზანი არ არის პარლამენტში არშესვლა. პარლამენტში არშესვლა გადავწყვიტეთ იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რაც დღეს არის, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

მარტვილში კოვიდ 19-ით ინფიცირებული 31 წლის ქალი გარდაიცვალა

მარტვილის მუნიციპალიტეტში კორონავირუსით ინფიცირებული 31 წლის ქალი გარდაიცვალა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მარტვილის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა როზა ჯანაშიამ განუცხადა, პაციენტს ქრონიკული დაავადება ჰქონდა.

ამასთან, მისი ინფორმაციით, პაციენტს სწრაფი ტესტით კორონავირუსი არ დაუდასტურდა, თუმცა პისიარ ტესტის პასუხი დადებითი აღმოჩნდა.

– პაციენტი ქრონიკული ავადმყოფი იყო და თავისი ექიმის დანიშნულებისამებრ მკურნალობდა. როცა კლინიკაში გადაყვანა გახდა საჭირო, გაიტესტა. სწრაფი ტესტის პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა, ხოლო პისიარ ტესტის – დადებითი. სანამ პისიარ ტესტის პასუხი მოვიდა, პაციენტი სახლში გარდაიცვალა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ კლინიკაში გარდაიცვალა, რაც არასწორია. მას კორონავირუსისთვის დამახასიათებელი არც ერთი სიმპტომი არ ჰქონდა, – განაცხადა როზა ჯანაშიამ.

სახელმწიფო დეპარტამენტი: „დარღვევებზე რეაგირება უნდა მოხდეს“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მოადგილე კეილ ბრაუნი ტვიტერზე წერს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი იზიარებს ეუთოს შეფასებას, რომლის თანახმად, საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კონკურენტული იყო და დაცული იყო ფუნდამენტური თავისუფლებები.

ამასთან, პრესსპიკერი აღნიშნავს, რომ ბრალდებებმა ამომრჩეველზე ზეწოლის შესახებ და პარტიასა და სახელმწიფოს შორის (გამყოფი) ხაზის ბუნდოვანებამ საზოგადოების ნდობა შეამცირა, ნაკლოვანებებსა და დოკუმენტაციით გამყარებულ დარღვევებზე რეაგირება უნდა მოხდეს.

2 ნოემბრის განცხადებაში აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი აცხადებს, რომ საარჩევნო დარღვევებმა გადაფარა 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე მიღწეული წინსვლა კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პროცედურების გაუმჯობესების კუთხით.

ამ დარღვევებში შედის ოქმებში არსებული უზუსტობები, ცნობები საარჩევნო უბნებზე ან მათ გარეთ დამაშინებელი ქცევის შესახებ, შედეგების დაგვიანებული გამოქვეყნება და წინასაარჩევნო პერიოდში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების განცდა.

ინფორმაციას „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია ავრცელებს.

არჩევნები დასრულდა, ლარი უფასურდება სები რეზერვებს აცარიელებს

არჩევნები დასრულდა და ეროვნული ვალუტის მოჩვენებითი სტაბილურობაც წარსულს ჩაჰბარდა.

კენჭისყრიდან მეორე დღესვე ლარი ერთბაშად 7 თეთრით გაუფასურდა და ბანკებში ერთი დოლარი უკვე 3 ლარი და 37 თეთრი ღირს.

საერთაშორისო ინვესტიციები ქვეყანაში აღარ შემოდის, პანდემიის გამო ტურიზმის ინდუსტრია საერთოდ გაჩერებულია, დონორებისგან მიღებული დახმარებები კი ხელისუფლებამ ისევ საარჩევნო კამპანიას მოახმარა და უმუშევრად დარჩენილი ადამიანი ცივი ზამთრის პირისპირ მარტო დატოვა.

ლარის კურსის გაუფასურებისა და მსოფლიო ბაზრებზე ხორბლის გაძვირების გამო, ფქვილზე ფასებმა უკვე მოიმატა. წისქვილკომბინატების ასოციაციაში ამბობენ, რომ თუ მთავრობამ რაიმე არ იღონა, ფასები ამ თვის ბოლოს კიდევ აიწევს, რასაც ჯაჭვური რეაქციით პურის გაძვირებაც მოჰყვება.

სამომხმარებლო ფასების მატებას ხელისუფლების შეცდომებს უკავშირებენ დისტრიბუტორთა ასოციაციაში.

ეროვნულმა ბანკმა ბაზარზე მოჩვენებითი სიმშვიდის შესაქმნელად ბოლო 1 კვირის განმავლობაში რეზერვებიდან უკვე გაყიდა 100 მლნ დოლარი, თუმცა პანიკის ჩასაქრობად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ეროვნული რეზერვები თანდათან იწურება. იწურება დონორებისგან მიღებული ფულადი დახმარებაც. წინ კი კრიზისის ყველაზე მძიმე ფაზაა, როცა გაუფასურებულ ლარს სეზონური ინფლაციაც დაემატება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საქართველოში პუტინს ვებრძვით. ივანიშვილი პუტინის „ნამესტნიკია“

გიორგი ბარამიძე: „უხერხულია, გუბაზ სანიკიძე მიშას მეგობრობაში მელიასა და მე შეგვეჯიბროს“

იაგო ნაცვლიშვილი

რა მოთხოვნები აქვს ოპოზიციას ხელისუფლებასთან? რას მოუტანს საპარლამენტო მანდატებზე უარი? გარედან უფრო ეფექტიანი იქნება ბრძოლა, ვიდრე პარლამენტიდან არის შესაძლებელი? და რა ხდება გაერთიანებულ ოპოზიციაში, როდესაც გუბაზ სანიკიძე და ნიკა მელია ტელეეთერში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– გარდა იმისა, რომ ოპოზიცია არ შედიხართ პარლამენტში და ვადამდელ არჩევნებს ითხოვთ, კიდევ თუ გაქვთ მოთხოვნები?

– ჩვენი მთავარი მოთხოვნა განმეორებითი არჩევნების ჩატარებაა, რადგან ეს არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, რადგანაც იყო ძალადობისა და სრული გაყალბების პროცესი, რაც აღინიშნა კიდეც უცხოელების პირველად დასკვნაში, სადაც პირდაპირ ითქვა მკაფიო ფრაზა, რაც ზოგმა ან ვერ გაიგო, ან გამოტოვა. პირდაპირ თქვეს, რომ წაშლილი იყო ზღვარი ხელისუფლებასა და პარტიას შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიული – „ქართული ოცნების“ ინტერესებისთვის პირდაპირ იყო გამოყენებული სახელმწიფო ინსტიტუტები, ამის მიხედვით მოქმედებდა სახელმწიფო და, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენად უსამართლო გარემო იქნებოდა.

– ამერიკის საელჩოს განცხადებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ იყო მოსყიდვა, დაშინება, ფარულობის დარღვევა, ძალადობა ჟურნალისტებსა და დამკვირვებლებზე, მაგრამ აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ ეს არალეგიტიმურობის საფუძველს არ იძლევა. რა პასუხი გაქვთ ამაზე?

– აშშ თუ ევროკავშირი საერთოდ არ არის იმ პოზიციაში, რომ შეაფასოს ან არალეგიტიმურობა, ან ლეგიტიმურობა. არ შეაფასა არალეგიტიმურად და ამიტომ კეთდება დასკვნები. ისინი ამას არ აფასებენ. ითქვა კიდეც ეუთო/ოდირის მოხსენებაში, რომ აფასებენ, რა იყო დარღვევა და რა სწორად გაკეთდა, მაგალითად, კოვიდთან დაკავშირებით სწორი ზომების გატარება, მაგრამ, ლეგიტიმურია თუ არალეგიტიმური, ეს განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ქართველი ხალხის მიერ. ამერიკელებმა რომ არ თქვეს, არალეგიტიმურიაო, ეს არ ნიშნავს, რომ არ არის არალეგიტიმური. საელჩომ საკმარისზე მეტი თქვა და ნათელია, მათი წუხილი რაშიც მდგომარეობს. თქვენ, მე და დანარჩენი 4-მილიონიანი მოსახლეობა ვართ უფლებამოსილი, ეს განვსაზღვროთ.

– რას მოიგებს ოპოზიცია, თუ არ შეხვალთ პარლამენტში, მაგრამ ივანიშვილი მაინც არ დათმობს, მაშინ როცა შესვლისას გაქვთ ბერკეტები – გყავთ იმხელა წარმომადგენლობა, რომ შიგნიდან ებრძოლოთ და ეფექტიანად იმუშაოთ. გარედან ბრძოლისას მეტ ბერკეტს ხედავთ?

– არა, ამ შემთხვევაში ამაზე არ არის საუბარი. ჩვენი შესვლით მოხდება პარლამენტის ლეგიტიმაციის აღიარება, რაც არ იქნება სამართლიანი და პატიოსანი. ჩვენ თუ ვამბობთ, რომ არალეგიტიმურია, მაშინ ჩვენი საწინააღმდეგო რაღაცა როგორ უნდა გავაკეთოთ?! აქ იმაზე არ არის საუბარი, რომ პარტიებმა რამდენიმეთი ნაკლები მანდატი მიიღეს და ეს წაართვა „ოცნებამ“. ასეთი ვითარება იყო 2016 წელს. მაშინაც გააყალბეს, მაგრამ იქ რამდენიმე მანდატით ნაკლებზე იყო საუბარი. ამიტომ ღირდა შესვლა. აქ სხვანაირად არის. აქ საუბარია იმაზე, რომ მთელმა ოპოზიციამ მოიგო და ივანიშვილი დამარცხდა. ეს ფუნდამენტურად ცვლის არჩევნების შინაარსს. იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციური კოალიცია იყოს ხელისუფლებაში, ამ დათმობით ივანიშვილის ხელისუფლებაში დარჩენას დავთანხმდებოდით, ანუ პრინციპულ საკითხს აქვს მნიშვნელობა.

– პარალელური დათვლებით, რომელიც „სამართლიანმა არჩევნებმა“ ჩაატარა, 45% აქვს „ოცნებას“ და არა ისე, რომ რადიკალურად იცვლებოდეს სურათი.

– კი ბატონო, მაგრამ აბსოლუტურად ზუსტი არ არის. ერთია, რას ლაპარაკობს ადამიანი საჯაროდ, როცა გამოვა უბნიდან, როცა ქუჩაში ეკითხება ორგანიზაცია და მეორეა, რას აკეთებს მარტო დარჩენილი კაბინაში. იყო ჩვენი პარტნიორების მიერ დაფინანსებული რეკლამები, ნუ გეშინიათ, კაბინაში კამერებია დამონტაჟებული, მარტო იქნებით და ვერავინ გითვალთვალებთო. ამის მიუხედავად, რამდენი ფაქტია, როცა ადამიანები შეჰყვებიან. მაგალითად, ოზურგეთის მერი რომ აჩვენებდა დეპუტატს, რა შემოხაზა. ერთია, რა შემოხაზა ადამიანმა და მეორეა, რა უპასუხა, პარალელური დათვლის დროს როცა ჰკითხეს.

– გჯერათ, რომ ხელახალი არჩევნების დანიშვნისას ბიძინა ამ მეთოდებს აღარ გამოიყენებს?

– ეგ არის საქმე, რომ უნდა შეიცვალოს საარჩევნო კომისია და სხვა გარემოებები ჩატარდეს. თუ იგივე გარემოებები იქნება, რა თქმა უნდა, იმავეს გააკეთებს. ცოტა უცნაური კითხვა დამისვით – არა მგონია, რომ მთლად ასე მიამიტიც გეგონოთ.

– კითხვა ბევრნაირი შეიძლება დავსვა, მაგრამ ამაში ჩემი დამოკიდებულება კი არ ჩანს, არამედ ვცდილობ, საზოგადოებაში არსებული კითხვები გავახმოვანო.

– არა, რა თქმა უნდა, არ მჯერა. თუ მისცემ ხელისუფლებას ისევ ამ საშუალებას, რამდენის წაღების უფლებასაც მისცემ, იმდენს წაიღებს. ეგ არ გამოსწორდება და საქმეც ის არის, რომ ახალმა სისტემამ არ უნდა მისცეს ამის შესაძლებლობა. რამდენი ფაქტი ვნახეთ, რაც ხდებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რაც იყო გადაკეთებული. საუბნო კომისიებზე აღარ ვლაპარაკობ, სადაც ზოგ შემთხვევაში 13 წევრიდან 10 „ოცნებას“ წარმოადგენდა და, ვინც ხელს ასწევდა და რაღაცას გააპროტესტებდა, აგდებდნენ გარეთ. ჯერ ეს სისტემა უნდა შეიცვალოს და მხოლოდ ამის შემდეგ ვითხოვთ ხელახალი არჩევნების ჩატარებას.

– ოპოზიცია ხართ ერთიანი, ერთად დგახართ აქციაზე, ერთობლივად მოქმედებთ და ა.შ. თუმცა უსიამოვნო ფაქტი ვნახეთ პირდაპირ ეთერში კონკრეტულად თქვენს ბლოკში, როდესაც ნიკა მელია და გუბაზ სანიკიძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რა ხდება გუნდში?

– ფუნდამენტურ საკითხებზე გუნდის აბსოლუტური უმრავლესობა ერთ აზრზე ვართ. უბრალოდ, გუბაზს ისე გამოუვიდა, რომ თითქოს უნდა, მიშა ჩამოვიდეს და სხვა ყველა დანარჩენს არ უნდა, რაც ასე არ არის.

– დღევანდელი გადმოსახედიდან გუნდში მის შეყვანას შეცდომად ხომ არ მიიჩნევთ?

– იმ მიდგომიდან, რომელიც სააკაშვილს აქვს და, შესაბამისად, ჩვენც, სწორია. ყველას ერთი აზრი გვაქვს ამ მიდგომებთან დაკავშირებით. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ამ ბოროტების დასამარცხებლად, ყველა ეს რესურსი გამოყენებული უნდა იყოს. უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ ივანიშვილი არ არის ჩვეულებრივი პარტიის ხელმძღვანელი. ის არის მართლა პუტინის „ნამესტნიკი“ საქართველოში და მისი „მეხუთე კოლონა“. ჩვენ რეალურად პუტინის ხელისუფლებას ვებრძვით საქართველოში. 2008 წელს რაც ვერ მოახერხა პუტინმა, რომ საქართველო დაეპყრო და მარიონეტი ხელისუფლება დაესვა, მან ეს მოახერხა. რა თქმა უნდა, ამის საფუძველი ჩვენი შეცდომებიც იყო. ამას დაემატა ის პიარსპეცოპერაცია, რომლითაც 2012-ში ბიძინა ივანიშვილი მოიყვანა. ივანიშვილი ზუსტად იმას აკეთებს, რასაც გააკეთებდა ვიღაცა „ნამესტნიკი“ ივან ივანოვი.

ახლა რომ დავიწყოთ, მაშინ იმან ეს თქვა და ამან ეს, ამის ფუფუნება არ გვაქვს. თქვენს შეკითხვას სრულად რომ ვუპასუხო, თუ ვინმე მზად არის, რომ აგურის დადებით თუ სიტყვით იმოქმედოს, მას ამის შესაძლებლობა უნდა მიეცეს. გუბაზს უმეტეს შემთხვევაში ეს შეუძლია გააკეთოს და ადამიანები დაარწმუნოს. ნიკა მელიამაც ეს ხაზი გაატარა, რომ არ შეიძლება ერთიანობის დარღვევა.

გუბაზის მოწვევა გუნდში შეცდომა არ იყო, მაგრამ მისი განცხადება შეცდომა იყო, რომ თითქოს მას უნდა მიშას ჩამოსვლა და სხვას არ უნდა. მაშინ მაგ კატეგორიაში მეც გავდივარ და უხერხულია, მე შემეჯიბროს გუბაზ სანიკიძე მიშას მეგობრობასა და გულშემატკივრობაში, თუმცა, რატომაც არა, კარგ რაღაცაში ყველანი ერთმანეთს შევეჯიბროთ, საქართველოს სიყვარულშიც და მიშას გულშემატკივრობაშიც, მაგრამ ასე არ უნდა გამოვიყვანოთ თავი, რომ ჩვენ ვართ განსაკუთრებული და სხვა ყველა ცუდია.

– ამოიწურა გაუგებრობა?

– მე მგონი, ამოიწურა. ვფიქრობ, გუბაზმაც გაიგო და ნიკამაც, რომ ასე მკვახედაც არ უნდა ეპასუხა, შეიძლებოდა უფრო წყნარადაც. გასაგებია, რომ ნიკა მელიაც და ჩვენი პირველი რიგის ლიდერებიც საკაკაშვილის თამადობით განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ ვართ. ემოციური ფონია და ადამიანი ემოციას ყოველთვის ვერ გააკონტროლებ. ვიღაცა როდესაც იტყვის, მე მინდა მიშას ჩამოსვლა და სხვას არაო, ეს არის უხერხული. მე ვფიქრობ, ეს ინციდენტი ამით ამოიწურა.

„პოლიტიკის ნაცვლად ახლა სახეზე გვაქვს ძალა!“

სოსო ცინცაძე: „ქუჩის ოპოზიცია“ მხოლოდ ქართული ფენომენია. სიმართლე გითხრათ, მსოფლიოში არსად გამიგია ეს ტერმინი. ეს ქართული ნოუჰაუა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს? რამდენად მოსალოდნელია ხელახალი არჩევნების დანიშვნა?

– ძნელი სავარაუდოა, რომ ახალი არჩევნები დაინიშნოს, თუმცა ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია ოპოზიციის ერთობის სიმტკიცეზე. დაპირისპირება უკვე გასცდა პოლიტიკურ ანატომიას. ეს არ არის ორი მოქიშპე ან რამდენიმე მეტოქე პარტიის დაპირისპირება. აქ უკვე ძალიან ძლიერია პირადული ფაქტორი, რაც ხელს უშლის შეთანხმებას, კომპრომისს, დათმობას, თან სიტუაცია ისეა ეგზალტირებული, რომ ოდნავი დათმობაც კი ერთი მხრიდან საზოგადოებაში აღიქმება კაპიტულაციად. როდესაც პოლიტიკაში კომპრომისის ადგილი აღარ რჩება, ეს უკვე პოლიტიკა აღარ არის. პოლიტიკის ნაცვლად ახლა სახეზე გვაქვს ძალა! ვის მხარეს არის ძალა, ვინ გადასძლევს?! როდესაც საქმე ძალაზე მიდგება, იქ ოპოზიცია ყოველთვის აგებს.

თუ ოპოზიცია ერთიანობას შეინარჩუნებს და პარლამენტში არავინ შევა, ეს სამართლებრივად არავითარ პრობლემას არ შეუქმნის „ქართულ ოცნებას“, მაგრამ, რასაკვირველია, ლეგიტიმაციის საკითხს გაუფერმკრთალებს. ეს არ არის პატარა ამბავი. თუ ხელისუფლებას ნებისმიერ ქვეყანაში არ აინტერესებს თავისი საზოგადოების, თუნდაც ოპოზიციის ამომრჩევლის აზრი, იქ უკვე სხვა რეალობა იქმნება. რა თქმა უნდა, ერთპარტიულ პარლამენტსაც შეუძლია ქვეყნის მართვა და ამის გამოცდილებაც გვაქვს, მაგრამ 21-ე საუკუნეში ქვეყანა, რომელიც ევროკავშირისკენ მიისწრაფვის და ეს განაცხადი უნდა გააკეთოს, ნატოს კარზე აკაკუნებს, როგორი რეაქციები იქნება იქიდან?! ამაზეც ხომ უნდა დავფიქრდეთ!

– სამართლებრივად ერთპარტიული პარლამენტი არ ქმნის პრობლემას, მაგრამ დასავლეთისთვის პოლიტიკური თვალსაზრისით ეს მიუღებელი იქნება?

– რა თქმა უნდა, სწორედ ამაზეა საუბარი. სამართლებრივად დღეს „ქართული ოცნება“ ტანკში ზის. მე არ მჯერა პათეტიკური განცხადებების, რომ ერთ წელიწადში თვითონ დაეცემიან და ა.შ. მე მაინც არ ველოდები, რომ განმეორდეს სომხეთის ან, გნებავთ, ბელარუსის სცენარი.

– რატომ?

– არ არის ასეთი სიტუაცია, მით უფრო, რომ საერთაშორისო საზოგადოება მაინცდამაინც თავს არ იკლავს ოპოზიციის ინტერესების დასაცავად.

– ფიქრობთ, რომ ამერიკის არჩევნები საბედისწეროდ დაემთხვა ჩვენს არჩევნებს, რადგან ყურადღება, შეიძლება, ცოტათი მაინც მოდუნებული იყოს?

– დიახ, რა თქმა უნდა, ისეთი ყურადღება ვერ იქნება, რადგან მათ ძალიან მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო არჩევნები აქვთ და შედეგები შეიძლება 10 დღის მერე გახდეს ცნობილი. ამიტომ ჩვენთვის არავინ მოიცლის.

მე მაინც ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ზუსტად განვსაზღვროთ, რა უფრო მომგებიანი იქნება სახელმწიფოსთვის: ოპოზიციის ბოიკოტი და პარლამენტში არშესვლა თუ, პირიქით, შესვლა და დაუღალავი მუშაობა! ზუსტად რომ ვიცოდე ციფრები, თუ როგორი იქნება ძალთა თანაფარდობა პარლამენტში, მაჟორიტარულ ნაწილს ვგულისხმობ, ვინაიდან ბევრგან არის მეორე ტური, მაშინ უფრო ზუსტი პასუხი მექნებოდა, ღირს თუ არა პარლამენტში შესვლა.

– შექმნილი სიტუაციიდან ახალი არჩევნები, შეიძლება, გამოსავალიც კი იყოს?

– არა მგონია, „ქართული ოცნება“ აიძულოს იმ პერსპექტივამ, რომ მხოლოდ ერთი პარლამენტი იქნება წარმოდგენილი, ამიტომ დანიშნოს ახალი არჩევნები, მით უფრო – ცესკოს ახალი შემადგენლობით. დღეს ეს ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია.

ოპოზიციას წინ ურთულესი პოლიტიკური ცხოვრება ელოდება. ოპოზიციამ როგორმე უნდა შეძლოს და თავი დააღწიოს მარგინალიზაციის ძალზე საშიშ აჩრდილს. „ქუჩის ოპოზიცია“ მხოლოდ ქართული ფენომენია. სიმართლე გითხრათ, მსოფლიოში არსად გამიგია ეს ტერმინი – „ქუჩის ოპოზიცია“. ეს ქართული ნოუჰაუა, მით უფრო, როდესაც ოპოზიციის ზურგსუკან არ დგას მძლავრი ფინანსური რესურსი, რომელიც მათ საბრძოლო მუხტს ხუთი, ექვსი თვით შეუნარჩუნებდა, თან ზამთარი მოდის, თან პანდემიაა. ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე დადგება ოპოზიცია. ეს ძალიან რეალური გამოწვევები იქნება, მით უფრო, როდესაც არანაირი ნიშანწყალი არ ჩანს, რომ დღეს ხელისუფლება შეიძლება დათმობაზე წავიდეს. უკვე სამი-ოთხი დღე გავიდა. ყოველი ახალი დღე აშორებს და აფერმკრთალებს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესს, მით უფრო, როდესაც გლობალური პანდემიით გამოწვეულ თავსატეხებს ვერ უმკლავდებიან უძლიერესი სახელმწიფოები. ამ ფონზე ოპოზიციას ძალიან გაუჭირდება თუნდაც საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება.

თამარ ჩხეიძე: „პარლამენტის ბოიკოტირებითა და პროტესტის გაგრძელებით ივანიშვილის ძალაუფლება შეირყევა“

„2016 წელს სხვა სიტუაცია იყო და ოპოზიცია პარლამენტში უნდა შესულიყო, დღეს სხვა ვითარებაა“

მარიამ მჭედლიშვილი

ოპოზიციური პარტიები აგრძელებენ პროტესტს და 31 ოქტომბრის არჩევნების გაყალბების მაგალითების დასახელებას. როგორც ბარიერგადალახული, ისე ზღვარს მიღმა დარჩენილი ორგანიზაციების დიდი ნაწილი საუბრობს ტოტალურ გაყალბებაზე. თითქმის ყველა პარლამენტში მოხვედრილმა ოპოზიციურმა პარტიამ განაცხადა, რომ უარს ამბობს მანდატებზე. გაისმის ხელახალი კენჭისყრის გამართვის მოთხოვნა. შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

თამარ ჩხეიძე:

– აშკარაა, რომ ეს არჩევნები გაყალბდა. ამაზე უნდა იყოს ძლიერი რეაგირება – საზოგადოების აქტიურობაც და პარლამენტის ბოიკოტირებაც. საპარლამენტო ბერკეტების მნიშვნელობა კარგად მესმის. 2016 წელსაც იდგა პარლამენტში ოპოზიციის შესვლა-არშესვლის საკითხი. მაშინ ნაციონალური მოძრაობა ერთიანი იყო, თუმცა მას ახლანდელივით მყარი პოზიციები არ ეკავა. ფაქტობრივად, ეს იყო ერთადერთი ოპოზიცია პარლამენტში. იმ დროს სწორი იყო პარლამენტის ტრიბუნის გამოყენება.

– ახლა სხვა მოცემულობაა?

– ახლა ნაციონალური მოძრაობა, მაშინდელთან (2012 წელთან) შედარებით, უფრო ძლიერია, „ქართული ოცნების“ მიმართ კი ნდობა შემცირდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე – გარეთ. თანაც, ბარიერგადალახული ოპოზიცია რამდენიმე პარტიას წარმოადგენს. თუ ეს პარტიები შეასრულებენ პირობას და მანდატებზე ბოლომდე უარს იტყვიან, ეს იქნება უდიდესი პოლიტიკური აქტი, დიდი დარტყმა ივანიშვილისათვის. შესაძლოა, ეს იყოს იურიდიული აქტიც. ეს ციფრებზეა დამოკიდებული. ამაზე დაწვრილებით იმსჯელებენ იურისტები. თუ პროტესტში ფართოდ ჩაებმება საზოგადოება და მთელი დასავლურად მიჩნეული ოპოზიცია (ეს ბურჯანაძის პარტიასაც ეხება), ეს იქნება იმის დემონსტრირება, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. რასაკვირველია, ხელისუფლება ეცდება ოპოზიციის ნაწილის გადაბირებას ან მოსყიდვას. შეიძლება, ზოგიერთი ხელისუფლებას გაურიგდეს ან გულწრფელად შეცდეს. ეს არ უნდა მოხდეს. როცა ოპოზიციაზე ვსაუბრობ, მხედველობაში არ მყავს „პატრიოტთა ალიანსი“. ამ პარტიას ოპოზიციად არ მივიჩნევ.

– უცხოელი დამკვირვებლებისა და პარტნიორების გამოხმაურებები მოზომილია. წინასწარი დასკვნებით, 31 ოქტომბრის არჩევნები იყო კონკურენტული, საბოლოო ჯამში, თავისუფალი, დაცული იყო ფუნდამენტური უფლებები, თუმცა შეინიშნებოდა ზეწოლის, მოსყიდვის ფაქტები, წაშლილი იყო მიჯნა სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის.

– სამწუხაროა, რომ ეს და სხვა შეფასებები, რაც მოვისმინე, უღიმღამო და არაადეკვატური იყო. საპრეზიდენტო არჩევნებს უფრო მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. საბოლოოდ, 2018 წელს საზოგადოებამ და ოპოზიციამ არასაკმარისი რეაგირება მოახდინა იმ უმსგავსობაზე, რაც მაშინ მოხდა. პროტესტის თაობაზე საქართველოში პროგნოზის გამოთქმა რთულია. საზოგადოება ყოველთვის ადეკვატურად არ რეაგირებს მომხდარზე. ახლა ხალხის უკმაყოფილება ჩანს, ოღონდ, არ ვიცით, სადამდე და როგორ გაგრძელდება ეს მდგომარეობა. მძლავრი მუხტის შედეგად საერთაშორისო საზოგადოებაც შეიცვლის თავის დამოკიდებულებას. შეუძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში სიმართლე დაიმალოს.

– ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს დღემდე აპროტესტებენ.

– ბელარუსი არ არის დემოკრატიული ქვეყანა. ლუკაშენკო დემოკრატიის მხრივ სცოდავს. ამის მიუხედავად, მე მას ბიძინა ივანიშვილს ვერ შევადარებ. ლუკაშენკო პიროვნულად და პოლიტიკურად პატივისცემას იმსახურებს. ის ივანიშვილზე მაღლა დგას.

– რატომ?

– პირველ რიგში იმიტომ, რომ მოსკოვიდან ზეწოლის მიუხედავად, ლუკაშენკომ არ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა. ბელარუსი დაკავშირებულია რუსეთთან, თუმცა ლუკაშენკო არ არის პუტინის მონა. არადა, მას ამისკენ უბიძგებენ.

– სხვები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ ბელარუსში უკეთესი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაა.

– ესეც არის, მაგრამ ჩემთვის უპირველესია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა. ახლა ჩვენ ივანიშვილის ხელისუფლების ჩამოშორების ამოცანა გვიდგას. პარლამენტის ბოიკოტირებითა და პროტესტის გაგრძელებით ივანიშვილის ძალაუფლება შეირყევა. საქართველოსთვის ეს აუცილებელია. გამოვდივარ ქვეყნის ინტერესებიდან, თორემ არც ერთ პარტიას არც ვუჭერ მხარს. არჩევნებში მონაწილეობა მივიღე, როგორც რიგითმა ამომრჩეველმა. 31 ოქტომბერს საზოგადოებას დასცინეს. ეს იყო ჩვენი საარჩევნო უფლებების შელახვა. რაც მალე დაინიშნება ხელახალი არჩევნები, მით უკეთესი იქნება.

– არსებობს მოსაზრება, რომ ბათილად გამოცხადდეს გარკვეული უბნების ფალსიფიცირებული შედეგები და იქ გაიმართოს ხელახალი კენჭისყრა.

– ეს დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა ხელთ ოპოზიციას გაყალბების სრული დოკუმენტაცია. მე ამაზე მონაცემები არ გამაჩნია.

– „პატრიოტთა ალიანსი“ ახსენეთ. ეს პარტიაც არ ცნობს გამოქვეყნებულ შედეგებს, საუბრობს გაყალბებაზე და მოითხოვს ხელახალ კენჭისყრას ქვეყნის მასშტაბით.

– მოვისმინე ამ პარტიის განცხადებები. არ ვიცი, რას იზამენ ეს ადამიანები ხვალ. ერთი რამ ცხადია – ეს პარტია იმოქმედებს რუსეთიდან მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად. მოსკოვში დააკვირდებიან, როგორ ვითარდება მოვლენები საქართველოში. თუ საჭიროდ ჩათვლიან, რომ „პატრიოტთა ალიანსმა“ ქუჩაში უნდა იაქტიუროს, ეს ხალხი აქციებში აქტიურად ჩაერთვება.

დავით ლორთქიფანიძე: „საარჩევნო კომისიაში ვინც კანონი დაარღვია, უნდა დაისაჯოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დავით ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დავით, საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, გაიმარჯვა „ოცნებამ“, მაგრამ ოპოზიცია აცხადებს, რომ არჩევნები გაყალბდა და პარლამენტში არ შევა. პარლამენტში ერთი პარტია რჩება. თქვენ როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?

– საკმაოდ არაორდინარული სიტუაცია იქმნება. ადამიანები, რომლებსაც მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილმა დაუჭირა მხარი, უარს ამბობენ მანდატებზე და საქართველოს პარლამენტში არ შედიან. ეს ქართული დემოკრატიისთვის კარგი არ არის, მაგრამ არსებობს სამართლებრივი მხარეც. სამართლებრივად პარლამენტის მუშაობის დაწყებას არანაირი პრობლემა არ ექმნება.

აქედან გამომდინარე, მათი არჩევანია, რას როგორ გააკეთებენ, მაგრამ მაშინ, როდესაც საარჩევნო პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, შემაჯამებელი ოქმები ჯერ არ დასრულებულა, მათი ქმედებები მთლად რელევანტური არ არის.

– შემაჯამებელი ოქმების დასრულება შედეგების თვალსაზრისით რაიმეს შეცვლის?

– მაგალითად, რამდენიმე ოლქში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გადაცდომები და დარღვევებია. ჩვენ სამართლებრივი სახელმწიფოსკენ მივდივართ. ის, ვინც დაარღვია, უნდა დაისაჯოს. თუ სისხლის სამართლის დანაშაულია ჩადენილი, საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ნორმა უნდა ამოქმედდეს და დანაშაულის ჩამდენმა სამართლებრივად პასუხი უნდა აგოს.

ვისაც სამართლებრივი დანაშაული არ ჩაუდენია და სხვა გადაცდომა ჰქონდა, ადმინისტრაციული წესით უნდა მოეთხოვოს პასუხი. მაქსიმალურად უნდა ამოქმედდეს სამართლებრივი ბერკეტი.

– კონკრეტულ ოლქში ან უბანზე განმეორებითი არჩევნები ან გადათვლა თუ მოხდება, შედეგები შეიცვლება იმის მიხედვით, რა დარღვევა იყო?

– არ ვიცი. სანამ საბოლოო შედეგი არ ყოფილა და ცესკოს საბოლოო, შემაჯამებელი ოქმი არ გამოუქვეყნებია, მანამდე გაპროტესტება არასწორია. პროტესტის გამოთქმის წინააღმდეგი არ ვარ, ამის უფლება აქვთ, მაგრამ გადაწყვეტილების შემდეგ გამოთქმული პროტესტი უფრო რელევანტური იქნება.

როგორც ირკვევა, პირველივე დღიდან მოყოლებული, რამე ხელშესახები დარღვევების შესახებ დოკუმენტები არ აქვთ. უფრო მეტიც, საარჩევნო ოლქებში მიზერული რაოდენობის საჩივრებია დაწერილი. ყველა ოლქში, ყველა უბანზე ოპოზიციურ პარტიებს თავიანთი წარმომადგენლები, დამკვირვებლები ჰყავთ, რა დროსაც ოქმების გაყალბება ძალიან ძნელია.



– ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არჩევნები გაყალბდა და მათ ამის დამადასტურებელი ვიდეომასალა, დისკები უცხოელებს გადასცეს. ნინო ბურჯანაძემ თქვა, ტელეფონითაც ვაჩვენეთ გაყალბების ამსახველი კადრებიო. ხელისუფლება მზად არის, ყველა ის დარღვევა, რომლებზეც ოპოზიცია საუბრობს, კანონის ფარგლებში განიხილოს და სამართლებრივი შედეგი დააყენოს?

– ხელისუფლება ამისთვის მზად არის. თუ ხელისუფლება ამისთვის მზად არ იქნება, მაშინ მოუწევს დამსახურებული გულისწყრომის მოსმენა და განცდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ვართ იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება არაერთხელ შეიცვალა არაკონსტიტუციური გზით.

– სწორედ 2003 წლის რევოლუციის პრეცედენტით არიან გულმოცემულნი.

– ამას ვამბობ. სწორედ მაშინდელი რევოლუციური რიტუალის მონაწილეების მთელი სპექტრია ქუჩაში დღეს და მჯიღს ისევ გულზე იბრახუნებენ, მაგრამ დღევანდელი სიტუაციის მიზეზი ისევ ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ.

– რას გულისხმობთ?

– 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების პირველივე დღეებიდან მე და ბევრი ჩემი თანამებრძოლი ვამბობდით, რომ დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. დამნაშავეს პასუხი უნდა ეგო 2012 წლიდან მოყოლებული პერმანენტულად. შეიძლება, ეს მომენტალურად ვერ მოხერხებულიყო, მაგრამ პროცესი უნდა ყოფილიყო. ახლა იტყვიან, რომ ბევრია გასამართლებული, ბევრი კი ძებნილია, მაგრამ, განცდა იმისა, რომ ნაციონალური რეჟიმი დაისაჯა, საზოგადოებაში, სამწუხაროდ, არ არის.

– მე დღესაც მეუბნებიან, რომ 2013 წელს „ოცნების“ ხელისუფლებას სისტემური დანაშაულების ჩამდენი ძალის, ნაცმოძრაობის ქმედებები უნდა შეეფასებინა და აეკრძალა. ასევე გარკვეულ პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებსაც ამ დანაშაულებში წვლილი მიუძღოდათ, პოლიტიკური საქმიანობა უნდა აჰკრძალოდათ. ეს არ გაკეთდა. ამიტომ ახლა ამის შედეგებს არ ვიმკით?

– შეიძლება, ოპერატიულად პოლიტიკური სუბიექტის აკრძალვა ვერ მოხერხებულიყო, მაგრამ პროცესი უნდა დაწყებულიყო. რაც მთავარია, პერსონებს, რომლებიც დანაშაულებრივი რეჟიმის პასუხისმგებელნი და შემოქმედნი იყვნენ, პასუხი უნდა ეგოთ.

– თქვენ 2012 წლის პარლამენტში „ოცნების“ დეპუტატი იყავით. ახლაც ამ პარტიის წევრი ხართ. მოდით, ღიად ვთქვათ, რატომ არ აგეს პასუხი?

– აღნიშნული კითხვა მეც მაქვს: ეს ადამიანები დღემდე პასუხისგებაში მიცემული რატომ არ არიან? მათ პასუხი რომ ეგოთ, დღეს ხმამაღალ განცხადებებს ვერ გააკეთებდნენ, საზოგადოებასთან გამოსაჩენი პირი აღარ ექნებოდათ, მაგრამ, ხედავთ, დღეს რა მდგომარეობაში არიან – მკვლელი ლაპარაკობს დამნაშავის დასჯაზე, ბიუჯეტის ქურდი ლაპარაკობს ბიუჯეტის თანხების შეჭმაზე. ამიტომ არანორმალური მდგომარეობაა.

ადამიანები, რომლებიც პასუხისგებაში უნდა იყვნენ მიცემული, დღეს იმუქრებიან, რომ დანარჩენ საქართველოს მისცემენ პასუხისგებაში. ეს სრულიად წარმოუდგენელი რამ არის.

– ხელისუფლებას საყვედურობენ, რომ მათ პირობებში მესამე ძალა არ შეიქმნა, რომელიც იქნებოდა იმ პროცესების გამაწონასწორებელი, რომელიც დღეს მიმდინარეობს. რატომ ვერ იქმნება მესამე ძალა, მით უმეტეს, როცა ამის ბაზა არის, 44% არ მივიდა არჩევნებზე?

– მესამე ძალის შექმნაში ხელისუფლების როლი შეიძლება შემოიფარგლოს თავისუფალი გარემოსა და თავისუფალი საზოგადოების არსებობის უზრუნველყოფით. დღეს თუ საზოგადოება და გარემო თავისუფალი არ არის, მაშინ თავისუფლება რას ჰქვია? ვისაც რა უნდა, იმას ლაპარაკობს.

– გარკვეულ ძალებს ფინანსები არ აქვთ, რომ საპირწონე მესამე ძალა შექმნან.

– გასაგებია, მაგრამ მესამე ძალა მექანიკურად ვერ შეიქმნება, ამისთვის საჭიროა მოტივაცია და ფინანსური რესურსი. თუ ეს ორი რამ ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ შეიქმნება. მესამე ძალას ხელისუფლება ხომ არ შექმნის. გამოვა, ხელისუფლების სატელიტი მესამე ძალა შეიქმნება, რომელიც, ფაქტობრივად, მესამე ძალა არ იქნება. ვფიქრობ, მომწიფდება სიტუაცია და ახალი პოლიტიკური ძალა მალე შემოვა პოლიტიკურ ველზე, მაგრამ, რამდენად სიცოცხლისუნარიანად შემოვა და რამდენად მალე მოიპოვებს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერას, ამას დრო აჩვენებს.

– პოლიტიკური პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით? ოპოზიცია თავის მომხრეებს რუსთაველზე გამოსვლისკენ მოუწოდებს.

– ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო ქვეყანასა და მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო. ძალიან არ მინდა, ისედაც გართულებული პანდემიის დროს ამან კიდევ უფრო მეტად დააზარალოს ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობა.

ეჭვი არ მეპარება, ნაცოპოზიცია ბოლომდე იბრძოლებს, რადგან მათ უკანდასახევი გზა არ აქვთ მას შემდეგ, რა განცხადებებიც გააკეთეს და ხელმოწერებით გააფორმეს – ხელისუფლებასთან მოლაპარაკება როგორ და საიდან უნდა დაიწყონ.

მათთვის მთავარი პრობლემა ხელისუფლების შეცვლაა, სააკაშვილი ჩამოვა თუ არა, მთავარი არ არის. მთავარია, სააკაშვილის დახმარებით ხელისუფლება შეცვალონ.

ნიკა მელიას 70.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

მას მოეხსნა სამაჯური და დაუბრუნდა პასპორტი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ნიკა მელიას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 70.000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ნიკა მელიას გირაოს გადახდის ვადად 50 დღე განესაზღვრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დალი მეტრეველმა გუშინ, 3 ნოემბერს, გამოაცხადა. აღნიშნულით მან პროკურატურის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

სასამართლოს გადაწყვეტილებითვე, ნიკა მელიას დამატებითი ვალდებულება დაეკისრა – მას ბრალდების მხარის წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე, შეეზღუდა საქართველოს საზღვრის კვეთაც.

ბრალდების მხარე მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გამკაცრებას ითხოვდა.

რაც შეეხება დაცვის მხარეს, ის პროკურატურის შუამდგომლობას არ ეთანხმებოდა და აცხადებდა, რომ ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება საერთოდ უნდა გაუქმებულიყო.

ნიკა მელიას 20 ივნისის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით 30.000-ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარდებული. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას ელექტრონული სამაჯური ეკეთა, თუმცა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა პროკურატურის მიერ დამაგრებული ელექტრონული სამაჯური 1 ნოემბერს საჯაროდ, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე მოიხსნა.

ნიკა მელიას ადვოკატის გიორგი კონდახიშვილის განცხადებით, სასამართლომ ნიკა მელიას სხვადასხვა სახის შემზღუდავი ღონისძიება გაუქმა და ჩამორთმეული ყველა სახის დოკუმენტი დაუბრუნდა.

– ნიკა მელიას გაუუქმდა ყველა ის შემზღუდავი ღონისძიება, რაზეც ჩვენ პირველივე დღიდან ვამბობდით, რომ არაკონსტიტუციური იყო – ეს არის ელექტრონული მონიტორინგი, ეს არის მოქალაქეებთან კომუნიკაცია, საჯარო სივრცეში სიტყვით გამოსვლა, დაუბრუნდა ყველა სახის დოკუმენტი, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა. ეს ნიშნავს იმას, რომ, ფაქტობრივად, ერთი წლის განმავლობაში ამ შეზღუდვებში უკანონოდ იმყოფებოდა. ასევე, ეს უკანონო და ანტიკონსტიტუციური შეზღუდვები იყო, – განაცხადა ადვოკატმა.

გიორგი კონდახიშვილის თქმით, პროკურატურამ თვითონ მოითხოვა უკანონო შეზღუდვების გაუქმება.

– მოსამართლემ გირაოს ნაწილში თანხა გაზარდა 40 ათასით, რაც ჩვენი ღრმა რწმენით, აბსოლუტური აბსურდია იქედან გამომდინარე, რომ თუკი 30.000-ლარიანი გირაო ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულებას, 40 ათას ლარიანი გირაო ამას რანაირად შეძლებს?! ფაქტი არის ერთი – პროკურატურამ თვითონ მოითხოვა იმ უკანონო შეზღუდვების გაუქმება და ეს შეზღუდვები გაუქმდა.

ნიკა მელიას მოეხსნა სამაჯური. ის აღარ არის ვალდებული, არც სახლში იყოს და არც შეიზღუდოს თავი გადაადგილებაზე. მას ყველა სახის დოკუმენტი დაუბრუნდა, – განაცხადა ადვოკატმა.

გიორგი კონდახიშვილის თქმით, გირაოს საკითხთან დაკავშირებით ის ნიკა მელიასთან გაივლის კონსულტაციას, რის შემდეგაც მიიღებენ გადაწყვეტილებას. ადვოკატს ასევე არ დაუკონკრეტებია, აპირებს თუ არა ნიკა მელია გირაოს გადახდას.

– ჩვენ ჩავიბარებთ მოსამართლის გადაწყვეტილებას, წავიკითხავთ, ჩვენ გვაქვს პოზიცია, რომ სამართლებრივად არასწორი განმარტება გააკეთა მოსამართლემ. მე-200 მუხლის მე-7 ნაწილში არ წერია იმის თაობაზე, რომ აღკვეთის ღონისძიების გამკაცრებაში იგულისხმება თანხის გაზრდა, – განაცხადა გიორგი კონდახიშვილმა.

„ე.წ. პარლამენტში არ შევალთ“

ოპოზიციამ განცხადებას ხელი მოაწერა

არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ერთობლივ განცხადებას მოაწერეს ხელი, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში არ შევლენ.

„2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა ამომრჩეველზე ძალადობისა და დაშინების, სუს-ისა და კრიმინალური სამყაროს კოორდინირებული ზეწოლის, მასშტაბური მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების და ამომრჩევლის ნებაზე ძალადობით გავლენის მოხდენის პირობებში.

ამას თან დაერთო საარჩევნო ოქმებით მანიპულაცია და „კარუსელი“, რამაც მნიშვნელოვნად დაამახინჯა არჩევნების შედეგები. ცესკოს მიერ გამოქვეყნებულმა საბოლოო შედეგებმა არ ასახა საქართველოს მოქალაქეების ნება.

ჩვენთვის, ოპოზიციური პარტიებისთვის, სრულიად ნათელია, რომ ჩვენმა თანამოქალაქეებმა უარი უთხრეს ივანიშვილის მმართველობას და არ მისცეს მას მესამე ვადით ქვეყნის მართვის მანდატი. შესაბამისად, ეს პარლამენტი არ ასახავს ამომრჩევლის ნებას. ამიტომ ჩვენ, ოპოზიციური პარტიები, რომელთაც გაგვიყალბეს არჩევნები, უარს ვამბობთ საპარლამენტო მანდატებზე და გადავდგამთ ყველა პოლიტიკურ და სამართლებრივ ნაბიჯს, რომ „დე იურე“ და „დე ფაქტო“ არ შევიდეთ ამ ე.წ. პარლამენტში. ჩვენ არ მივიჩნევთ ამ პარლამენტს ლეგიტიმურად, რადგან ის არის უკანონო ქმედებების შედეგად არჩეული და არ გამოხატავს ხალხის ნებას.

ამ გადაწყვეტილებას სრულად იზიარებენ ქვემორე ხელმომწერი პოლიტიკური პარტიებიც, რომლებიც ამ გაყალბებული არჩევნების შედეგად ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ვერ მოხვდნენ პარლამენტში“, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ პარტიები: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; „ევროპული საქართველო“; „ლელო“; „სტრატეგია აღმაშენებელი“; „პატრიოტთა ალიანსი“; „მოქალაქეები“ და „ლეიბორისტული პარტია“.

ნიკა მელიამ და გუბაზ სანიკიძემ იჩხუბეს

„ხან ბიძინას აგენტი ხარ, ხან მიშასი, წადი, რა“

2 ნოემბერს „მთავარი არხის“ სტუდიაში ოპოზიციის შეკრების დროს ნიკა მელიასა და გუბაზ სანიკიძეს შორის მძაფრი კამათი გაიმართა ჩხუბის ზღვარზე გასვლის ელემენტებით.

კამათი გუბაზ სანიკიძის მოსაზრებას მოჰყვა მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების აუცილებლობის შესახებ.

– რა დაკომპლექსებული ხართ ამ მიშათი, რატომ გამოიწვია შენი განერვიულება იმან, რომ ვთქვი, დროა, რომ სააკაშვილი ჩამოვიდეს საქართველოში, იმიტომ, რომ მის გარეშე ბიძინას ვერ ვერევით, – უთხრა გუბაზ სანიკიძემ ნიკა მელიას.

– გუშინ სად იყავი, რომელ უბანთან იყავი, რომელი მუშტი მოგხვდა, ვის შეუშვირე შუბლი, რომელი ხმა დაიცავი, რა გააკეთე?! – იყო მელიას პასუხი.

– ნიკა, ოფისიდან არ გამოსულხარ მთელი დღე არჩევნების დღეს, – თქვა სანიკიძემ და ისევ გაიმეორა, – მიშა უნდა იყოს საქართველოში.

ნიკა მელია ფეხზე წამოვარდა:

– ხან ბიძინას აგენტი ხარ, ხან მიშას აგენტი ხარ, ხან პეტრესი და ხან პავლესი, წადი რა, შვილო!

– შენ გაასწორე ლაპარაკი მართლა, შვილო მოიკითხე მართლა შენ!

დიალოგი ამ ტონალობაში გაგრძელდა. ბოლოს ორივემ დატოვა სტუდია.

გიორგი კახიანი: „ნაციონალებს დამარცხების აღიარების ღირსება არ აქვთ“

– ყველას ძალიან კარგად გვესმოდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს იმდენი პოლიტიკური ღირსება, მარცხი აღიაროს.

ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა გიორგი კახიანმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

კახიანის თქმით, ოპოზიციური პარტიები ნაციონალური მოძრაობის ტყვეობაში არიან.

– სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობის თამაშს აყოლილები არიან ის პარტიები, რომლებსაც შედარებით ნაკლები მხარდაჭერა აქვთ – ისინი ნაციონალური მოძრაობის ტყვეობაშიც კი იმყოფებიან. ვნახოთ, პროცესი მიმდინარეობს, მეორე ტურამდე კიდევ სამი კვირაა. დარწმუნებული ვარ, იმ ფონზე, როდესაც ფაქტობრივად მთელმა საერთაშორისო თანამეგობრობამ პროპორციული არჩევნების და მაჟორიტარული არჩევნების პირველი ტურის ლეგიტიმაცია აღიარა, ამ ფონზე, როდესაც სრულიად უსუსურ განცხადებებს ვისმენთ ოპოზიციის მხრიდან, პროცესების ასეთი განვითარება მათ პოლიტიკურ ჩიხამდე მიიყვანს, – განაცხადა გიორგი კახიანმა.

მამუკა მდინარაძე: „ოპოზიციაში აპროტესტებენ იმას, რაც თავიანთმა კვლევებმაც აჩვენა“

– აპროტესტებენ იმას, რაც თავიანთმა კვლევებმაც კი აჩვენა.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც სხვადასხვა ეგზიტპოლისა და ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში ცდომილება მეასედის ფარგლებში იყო.

– „რუსთავი 2“-ის დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში არის მაქსიმუმ 3-პროცენტიანი ცდომილება ეგზიტპოლსა და დამდგარ შედეგებს შორის, რიგ შემთხვევაში, ასევე ობიექტურად უნდა ითქვას, რომ „ედისონ რისერჩის“ ანუ „ფორმულას“ დაკვეთით ჩატარებულ კვლევებში არის მეასედები ცდომილება და იშვიათ შემთხვევაში 2 და მაქსიმუმ 3-პროცენტიანი ცდომილებაც კი არ არის. აქ უკვე, მგონი, სურათი ძალიან ნათელია, აპროტესტებენ იმას, რაც თავიანთი დაკვეთით შეასრულეს ორგანიზაციებმა და გადმოსცეს საზოგადოებას კონკრეტული შედეგები. ყველა პატარა პარტია, რომელმაც მიიღო 2, 3 ან 1-პროცენტიანი შედეგი, წინასწარ იყო ინფორმირებული, მეასედების სიზუსტით დაემთხვა შედეგები როგორც „ედისონ რისერჩის“, ხშირ შემთხვევაში, ასევე „მთავარისა“ და „რუსთავი 2“-ის კვლევებს. „ქართული ოცნების“ შემთხვევაში 5 და, თუ არ ვცდები, 6-პროცენტიანი სხვაობაც კი იყო „იმედის“ დაკვეთით შესრულებულ კვლევებში, მაგრამ პატარა პარტიებთან მიმართებით ასეთი უზუსტობები არ ყოფილა და აპროტესტებენ იმას, რაც თავიანთმა კვლევებმაც კი აჩვენა, – განაცხადა მდინარაძემ.

გიორგი რურუა მასზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით გამოიკითხა

გლდანის №8 პენიტენციარულ დაწესებულებაში იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ პატიმრების მხრიდან განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე „მთავარი არხის“ მეწილე გიორგი რურუა გამოიკითხა.

გიორგი რურუას ადვოკატ დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადებით, ეს იყო ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებული თავდასხმა და არ აქვთ მოლოდინი, რომ ხელისუფლება ამ საკითხთან მიმართებით რაიმე ეფექტურ ზომებს მიიღებს.

– კონკრეტული გამომძიებელი, რომელიც დღეს იმყოფებოდა საგამოძიებო მოქმედებაზე სრულიად ადეკვატურად მოქმედებდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ, სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებში რიგითი გამომძიებლები არ იღებენ გადაწყვეტილებას და სხვა დონეზე ხდება გადაწყვეტილების მიღება. ბუნებრივია, ეს იყო ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებული თავდასხმა და არ მგონია, ხელისუფლებას ამ საკითხთან მიმართებით რაიმე ეფექტური ზომების მიღების სურვილი ჰქონდეს, – აღნიშნა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

მისივე თქმით, თავად გიორგი რურუას პოზიციაა, რომ მასზე ფიზიკური ანგარიშსწორება ხელისუფლებამ და ბიძინა ივანიშვილმა მოახდინეს.

– ის თავდამსხმელები მოქმედებდნენ უბრალოდ ხელისუფლების დავალების შესასრულებლად, შესაბამისად პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას. მათ ჯერ უკანონოდ დააპატიმრეს გიორგი რურუა და ახლა უკვე ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე გადავიდნენ. თავად გიორგი რურუას პოზიციაც იყო, რომ მასზე ფიზიკური ანგარიშსწორება მოახდინა ხელისუფლებამ და ბიძინა ივანიშვილმა, – განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

სპეციალურმა პენიტენციარულმა სამსახურმა გიორგი რურუაზე პატიმრების მხრიდან განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

სუსი: „დევი ჭანკოტაძის შტაბის აქტივისტს აქციაზე ელექტროშოკური მოწყობილობა აღმოაჩნდა“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის წევრ დევი ჭანკოტაძის შტაბის აქტივისტ რაფიკ ორუჯოვს არჩევნების დღეს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე ელექტროშოკური მოწყობილობა აღმოაჩნდა, რის გამოც ის გამოკითხვაზეა დაბარებული.

მათივე ინფორმაციით, თავად დევი ჭანკოტაძე გამოკითხვაზე დაბარებული არ არის.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განცხადებით, დევი ჭანკოტაძეს, დიმიტრი შაშკინსა და ნიკა მელიას საარჩევნოდ მობილიზებული ჰყავდათ ხელკეტებითა და ელექტროშოკებით აღჭურვილი ეკიპაჟები.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

სალომე ზურაბიშვილი: „თავი დაანებეთ ჟვანიას! ცესკომ სამაგალითო და დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა!“

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიას შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრისას პრეზიდენტს ცესკოს თავმჯდომარემ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

მათი ინფორმაციით, პრეზიდენტმა, თავის მხრივ, თამარ ჟვანიასა და მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციას კიდევ ერთხელ დაუდასტურა პატივისცემა და გამოხატა მადლიერება, იმისთვის, რომ მათ შეძლეს პანდემიის მძიმე პირობების და გამოწვევების მიუხედავად ორგანიზება გაეწიათ სამაგალითო და დემოკრატიული არჩევნებისთვის.

„შეხვედრისას ასევე აღინიშნა სადამკვირვებლო მისიებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არჩევნების პირველადი დადებითი შეფასებები.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დემოკრატიული ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ მიუკერძოებელ ინსტიტუტზე, საარჩევნო პროცესის ქვაკუთხედზე – საარჩევნო ადმინისტრაციაზე და მის ქალ თავმჯდომარეზე ზეწოლა, მუქარა და შეურაცხყოფა მიუღებელია“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ვენაში, სინაგოგასთან, 4 ადამიანი მოკლეს

პოლიციამ 20 წლის ალბანური წარმოშობის თავდამსხმელის ლიკვიდაცია განახორციელა

2 ნოემბერს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სინაგოგასთან, თავდასხმა მოხდა.

თავდასხმის შედეგად დაღუპულია 4 მშვიდობიანი მოქალაქე – 2 ქალი და 2 მამაკაცი. პოლიციამ 1 თავდამსხმელი მოკლა.

თავდასხმის შემდეგ სამართალდამცავებმა ვენაში რამდენიმე სახლი გაჩხრიკეს და რამდენიმე პირიც დააკავეს.

ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრმა კარლ ნეჰამერმა გუშინ, 3 ნოემბერს, დილით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ვენაში მომხდარი თავდასხმები, სულ მცირე, ერთმა ისლამისტმა ტერორისტმა მოაწყო. მისივე თქმით, პოლიციამ კარგად შეიარაღებული თავდამსხმელის ლიკვიდაცია განახორციელა, რომელიც ისლამური სახელმწიფოს მომხრე იყო.

ის ავსტრიის დედაქალაქში დაბადებული და გაზრდილი 20 წლის ახალგაზრდაა, რომელსაც ალბანური ფესვები აქვს.

აღნიშნული პიროვნების შესახებ ავსტრიის სადაზვერვო სამსახურს ინფორმაცია ჰქონდა, ვინაიდან ის ერთ-ერთი ავსტრიელი ისლამისტი იყო, რომელსაც სირიაში გამგზავრება სურდა.

„ქურთინ ს.-ს ალბანური ფესვები ჰქონდა, თუმცა მისი მშობლები წარმოშობით ჩრდილოეთ მაკედონიიდან იყვნენ. პოლიციას არ ეგონა, თუ ის ვენაში თავდასხმის დაგეგმვას შეძლებდა“, – წერს გაზეთ „ფალტერის“ რედაქტორი ფლორიან კლენკი „ტვიტერში“.

ვენაში განხორციელებული თავდასხმის გამო ავსტრიაში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა.

– ეს იყო თავდასხმა ჩვენს თავისუფალ საზოგადოებაზე, მაგრამ ჩვენს ღირებულებებს დავიცავთ.

ამის შესახებ ავსტრიის კანცლერმა სებასტიან კურცმა განაცხადა, როდესაც ქვეყნის მოსახლეობას მიმართა.

– მტერს, ისლამისტურ ტერორს, ჩვენი საზოგადოების გახლეჩა სურს, მაგრამ ჩვენ ამ სიძულვილს გასაქანს არ მივცემთ. ეს არ არის ბრძოლა ქრისტიანებსა და მუსლიმებს ან ავსტრიელებსა და მიგრანტებს შორის. ეს არის ბრძოლა ცივილიზაციასა და ბარბაროსობას შორის, – განაცხადა სებასტიან კურცმა.

მისივე თქმით, ავსტრიის რესპუბლიკა და მისი ხალხი სასტიკი ტერორისტული თავდასხმის სამიზნე გახდნენ.

ქაბულში სტუდენტები დახოცეს

მოკლულია 35 ადამიანი

2 ნოემბერს ავღანეთის დედაქალაქის უნივერსიტეტში შეიარაღებული პირები შეიჭრნენ და აუდიტორიებში მყოფ სტუდენტებს ცეცხლი გაუხსნეს.

ეს მაშინ მოხდა, როცა იქ ირანული წიგნის გამოფენა უნდა გახსნილიყო და სახელმწიფო ჩინოსნების მისვლას ელოდებოდნენ.

თავდასხმის შედეგად დაღუპულია 35 ადამიანი. ლიკვიდირებულია 2 ექსტრემისტი.

დაშავებულია 50-მდე ადამიანი.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

მაშველებმა იზმირში 4 წლის გოგონა ნანგრევებიდან ამოიყვანეს

მიწისძვრიდან 91 საათის შემდეგ

მაშველებმა იზმირში 30 ოქტომბერს მომხდარი ძლიერი მიწისძვრიდან 91 საათის შემდეგ 4 წლის გოგონა ნანგრევებიდან ამოიყვანეს.

აილა გეზგინი 107-ე ადამიანია, რომელიც მაშველებმა გადაარჩინეს.

ექიმების ინფორმაციით, გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სუხიშვილების ძველი თაობის სოლისტი გია ნადარეიშვილი გარდაიცვალა

ანსამბლ „სუხიშვილების“ ძველი თაობის სოლისტი გია ნადარეიშვილი გარდაიცვალა.

ინფორმაცია საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა გაავრცელა.

მოცეკვავეს 5 ნოემბერს დაკრძალავენ. მას დიდ დიღომში მდებარე 100.000 მოწამის სახელობის ტაძრიდან გამოასვენებენ და უკანასკნელ გზაზე გააცილებენ.

„ნიჭიერმა“ რჩეულები გამოავლინა

შოუ „ნიჭიერმა“ კიდევ ერთი ნახევარფინალი გამართა და რჩეულები გამოავლინა.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, ფინალში გადავიდა ჯოკია და გელა გუგავების სახელობის ანსამბლი „ლაგუშედა“.

ჟიურის გადაწყვეტილებით, „ნიჭიერის“ ფინალისტი გახდა ილუზიონისტი ლევან გრიგოლია.

ლიდერბეთის რჩეულად კი ვალენტინა კუზმიდის ტანვარჯიშის უმაღლესი სკოლა დასახელდა. პატარა ტანმოვარჯიშეებს ფინალში მოსახვედრად ფეისბუქკონკურსში მონაწილეობის შანსი მიეცათ.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ბასილაშვილის მორიგი ნული

პარიზის ჰარდის კორტებზე ნიკოლოზ ბასილაშვილი 1/32 ფინალში გერმანელ იან-ლენარდ შტრუფს შეხვდა და 2 სეტში – 4:6, 2:6 დამარცხდა.

ბასილაშვილმა კარგად დაიწყო და პირველ სეტში 4:1 დაწინაურდა, მაგრამ მერე აღარაფერი გამოდიოდა და გეიმიც კი არ მოუგია.

მეორე სეტში ნიკამ პირველივე მოწოდება დათმო. მართალია, იქვე დაიბრუნა, მაგრამ გერმანელმა მაინც იოლად მოიგო – 6:2.

აღსანიშნავია, რომ ბასილაშვილმა ატპ-ის ეგიდით ზედიზედ მე-9 მატჩი სეტის მოუგებლად წააგო. სულ კი ბასილაშვილს უკვე 11-მატჩიანი წაგებათა სერია მოუგროვდა. ჩვენებურმა ბოლოს ლატვიელი რიკარდას ბერანკისი თებერვალში დაამარცხა.

ახალგაზრდული ნაკრები სლოვაკეთისთვის გაემზადა

საქართველოს 21 წლამდე საფეხბურთო ნაკრები ევრო 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო შეხვედრას თბილისში გამართავს. ვასილ მაისურაძის გუნდი სლოვაკეთის ახალგაზრდულ ნაკრებს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაუპირისპირდება.

ეს გუნდები ჯგუფში მესამე ადგილისთვის იბრძვიან და ამ კუთხით არის მნიშვნელოვანი. მაისურაძემ ამ მატჩისთვის 23 ფეხბურთელს უხმო:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი (ლოკომოტივი), დავით კერესელიძე (გაგრა), ლუკა სანიკიძე (თელავი);

მცველები: დავით კობოური (დინამო თბ), ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (ლოკომოტივი), თორნიკე ძოწენიძე, ილია ბერიაშვილი (ორივე თელავი), შალვა ბურჯანაძე (სამგურალი), გიორგი ჯინჯოლავა (ლოკომოტივი);

ნახევარმცველები: ირაკლი აზაროვი, გიორგი კუცია, ანზორ მექვაბიშვილი (ყველა დინამო თბ), ბექა დარცმელია, თორნიკე ძებნიაური (ორივე ლოკომოტივი, ლუკა სილაგაძე (ვალმიერა, ლატვია), ირაკლი ზარიძე (ვიტ ჯორჯია), იური ტაბატაძე, გიორგი გოჩოლეიშვილი (ორივე საბურთალო), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი);

თავდამსხმელები: ნუგზარ სპანდერაშვილი (დილა), გიორგი გულიაშვილი (საბურთალო), სერგო კუხიანიძე (სამგურალი), გიორგი იაკობიძე (ლოკომოტივი).

ევრო 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ჯგუფში საქართველოს ნაკრები 12 ქულით მესამე ადგილზეა, სლოვაკეთს 9 ქულა და ჩვენს გუნდზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

საქართველოსა და სლოვაკეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 12 ნოემბერს, 15 საათზე შედგება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მოზარდმა მშობლების მანქანა „მაკდონალდსში“ წასასვლელად გაიტაცა

ინგლისის უესტ-მიდლენდსის საგრაფოს ქალაქ ოლდბერიში პოლიციამ 15 წლის მოზარდი დააკავა, რომელმაც მშობლების ავტომობილი გაიტაცა და გზაზე სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდა. ის „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების რესტორანში მიდიოდა.

პოლიციელებმა შენიშნეს ავტომობილი რენი კლიო, რომელმაც დასაშვებ სიჩქარეს გადააჭარბა. სამართალდამცავები დაელოდნენ, როდესაც ავტომობილმა მაკდონალსთან შეუხვია და მისი მძღოლი იმ დროს დააკავეს, როდესაც ის შეკვეთების ფანჯარასთან მივიდა.

ისინი გაკვირვებულები დარჩნენ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ მანქანის საჭესთან 15 წლის სკოლის მოსწავლე იჯდა. პოლიციელებმა მას მანქანა ჩამოართვეს, თავად კი მშობლებს სახლში მიუყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თეატრებისა და კინოთეატრების გახსნა გაურკვეველი ვადით გადაიდო

საქართველოში თეატრებისა და კინოთეატრების გახსნა პირველი ნოემბრიდან იყო დაანონსებული, თუმცა გაურკვეველი ვადით გადაიდო. მათი სრულყოფილად ამოქმედების თარიღი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით განისაზღვრება. გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო.

ამ ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციების გათვალისწინებით, დაშვებულია კულტურული ღონისძიებების ჩატარება ღია სივრცეში 200-მდე ადამიანის მონაწილეობით, გახსნილია მუზეუმები და მუზეუმ-ნაკრძალები, დაშვებულია ფილმწარმოება და დახურულ სივრცეში რეპეტიციების ჩატარება. სხვა სახის კულტურული ღონისძიებების მოწყობა კი მხოლოდ დისტანციური ფორმით არის შესაძლებელი.

გიორგი გასვიანი, მსახიობი:

– ამასობაში თეატრი ყველას დაავიწყდება. სასწრაფოდ ვაქცინა, თორემ ეს უძველესი ჟანრი ბოლომდე დაისადგურებს მხოლოდ პოლიტიკაში, თანაც უნიჭოდ!

დათა თავაძე, რეჟისორი:

– „გაურკვეველი დროით“ ნიშნავს, რომ ამ სეზონზე ვერავინ ვერ შევა ვერც ერთ სახელოვნებო სივრცეში, როცა საკონცერტო დარბაზები, კინოთეატრები, საკლუბო სცენები, თეატრები ისე აუცილებელია ახლა, როგორც არასდროს.

დადექით მაყურებლის გვერდით, მსმენელის, ანუ ერთმანეთის გვერდით, იმიტომ რომ ყველასთვის წამალივით მნიშვნელოვანია ერთობის შეგრძნება, კითხვების დასმა, ერთმანეთის ხმის გაგონება, ნორმის კრიტიკა, ალტერნატიული თხრობის მოსმენა, „უტოპიური რეალობების დაშვება“, იმ ამბების მოსმენა, სადაც ადამიანი არაა „კიდევ ერთი ციფრი“, არამედ ის ხმაა, რომელსაც ყურს ვუგდებთ, თანავუგრძნობთ, მისი თვალით უცნობ ხედებს ვხედავთ.

გასამხნევებლად დადექით ერთმანეთის გვერდით. ახლა, ამ სრულ გაურკვევლობაში, პოლიტიკურ და სოციალურ ჯახირში, პოლიტიკოსების ტოტალურ და უკანმოუბრუნებელ მარცხში, იმედგაცრუებასა და მუდმივად ემოციის მოთოკვაში იქნებ ამაზე მნიშვნელოვანი არც არაფერია.

დადექით დამოუკიდებელი ხელოვნების გვერდით, ათასობით ხელოვანის გვერდით, რომლებიც არანორმალური სისწრაფით ტოვებენ თავიანთ სფეროებს სწორედ ამ „გაურკვევლობისა“ და უთანასწორობის გამო.

დადექით დამოუკიდებელი დასების გვერდით, რომლებიც ნაქირავებ სივრცეებს კარგავენ და, შესაძლოა, ვეღარასოდეს ვეღარ დაიბრუნონ ის, რაც სისხლით, ოფლით, ცარიელი ენთუზიაზმითა და ნულოვანი მხარდაჭერით აქვთ ნაშენები წლობით. დადექით სტუდენტების გვერდით, რომლებიც ისე ამთავრებენ სახელოვნებო სასწავლებლებს, მათ საკურსო და სადიპლომო ნაშრომებს მაყურებელიც-მსმენელიც კი არ ჰყავს.

გავიგე, რომ ყველა სახელოვნებო სივრცე ემზადება პროტესტის დასაფიქსირებლად. მიხარია, რომ ცხრათვიანი პაუზის შემდეგ ყველა მზადაა, მართლა გააპროტესტოს ეს უსამართლობა და „გაურკვევლობა“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

აია ისევ ბონუსით იგებს

გაიმართა საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატის გადადებული ტურის მატჩები, რომელშიც საქართველოს ნაკრების მორაგბეებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ახალმა რეგულაციამ შეუშალა ხელი.

თბილისური დერბი შედგა „ლელო არენაზე“, სადაც ადგილობრივი ლელო სარასენსი ლოკომოტივს დაუხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 19:17 სძლია. მასპინძლებმა ტაიმი 13:3 მოიგეს, დიტო კალანდაძემ მე-19 წუთზე ლელო დადო, ხოლო ბექა აბულაშვილმა გარდასახვა და ორი ჯარიმა გაიტანა. სტუმართაგან ერთი ჯარიმა ბექა წიკლაურმა შეასრულა ზუსტად.

შესვენების შემდეგ ლოკომოტივმა უკეთ ითამაშა და 2 ლელოს დადება მოახერხა, რომლებიც ვახტანგ ქვათაძის და ირაკლი ქვათაძის ანგარიშზეა. წიკლაურმა ორივე გარდასახვა გაიტანა. მასპინძელმა ბექა აბულაშვილმა 2 ჯარიმა გაიტანა, მათ შორის გადამწყვეტი ბოლო წუთზე და ლელო სარასენსმა 19:17 იმარჯვა.

ხარები რუსთავში იუნკერებს დაუხვდა და 17:20 დამარცხდა. მასპინძლებმა ტაიმი 7:6 მოიგეს. რუსთაველთაგან ლელო ვაჟა ხუციშვილმა დადო, ხოლო სტუმართაგან რამაზ ხარაზიშვილმა 2 ჯარიმა გაიტანა.

მეორე ნახევარი იუნკერებმა უკეთ დაიწყეს – ლელოში გიორგი კურტანიძე და გუგა შენგელია შევიდნენ. ორივე გარდასახვა ზუსტი იყო. ლექსო მელიქიშვილმა მალევე სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ რუსთაველებს მეტისთვის დრო არ ეყოთ – 17:20.

ბ ჯგუფში ჯიქი გორში აიას დაუხვდა და დიდი სხვაობით 3:44 დამარცხდა. ქუთაისელებმა მეტოქე ექვსჯერ დაალელოვეს, რომელთაგან გიორგი ბაბუნაშვილმა 4 გარდასახა, რასაც 2 ჯარიმა მიაყოლა.

აიას სამიდან 3 მოგება აქვს, აქედან ორ შემთხვევაში ბონუსიც აიღო და ბ ჯგუფს 14 ქულით ლიდერობს.

შედეგები

2 ნოემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ფულემი-ვესტ ბრომვიჩი 2:0
ლიდსი-ლესტერი 1:4

სატუნირო ცხრილი:

1.ლივერპული	7	5	1	1	17-15	16
2.ლესტერი	7	5	0	2	17-9	15
3.ტოტენჰემი	7	4	2	1	18-9	14
4.ევერტონი	7	4	1	2	15-11	13
5.საუთჰემპტონი	7	4	1	2	14-12	13
6.ვულვზი	7	4	1	2	8-8	13
7.ჩელსი	7	3	3	1	16-9	12
8.ასტონ ვილა	6	4	0	2	15-8	12
9.არსენალი	7	4	0	3	9-7	12
10.სიტი	6	3	2	1	9-8	11
11.ნიუკასლი	7	3	2	2	10-11	11
12.ლიდსი	7	3	1	3	13-13	10
13.კრ.პალასი	7	3	1	3	8-11	10
14.ვესტ ჰემი	7	2	2	3	13-10	8
15.მანჩესტერი	6	2	1	3	9-13	7
16.ბრაიტონი	7	1	2	4	11-14	5
17.ფულემი	7	1	1	5	7-14	4
18.ვესტ ბრომვიჩი	7	0	3	4	6-16	3
19.შეფილდი	7	0	1	6	3-10	1
20.ბარნლი	6	0	1	5	3-12	1

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰოფენჰაიმი-უნიონი 1:3

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	6	5	0	1	24-9	15
2.დორტმუნდი	6	5	0	1	13-2	15
3.ლაიფციგი	6	4	1	1	12-4	13
4.ლევერკუზენი	6	3	3	0	10-5	12
5.გლადბახი	6	3	2	1	9-8	11
6.აუგსბურგი	6	3	1	2	9-7	10
7.უნიონი	6	2	3	1	11-7	9
8.შტუტგარტი	6	2	3	1	11-7	9
9.ვერდერი	6	2	3	1	8-8	9
10.აინტრახტი	6	2	3	1	8-10	9
11.ვოლფსბურგი	6	1	5	0	5-4	8
11.ჰოფენჰაიმი	6	2	1	3	10-9	7
13.ფრაიბურგი	6	1	3	2	8-13	6
14.ჰერტა	6	1	1	4	10-13	4
15.არმინია	6	1	1	4	4-10	4
16.კიოლნი	6	0	2	4	6-11	2
17.შალკე	6	0	2	4	3-20	2
18.მაინცი	6	0	0	6	5-18	0

ესპანეთი. პირველი დივიზიონი

ვილიარეალი-ვალიადოლიდი 2:0

სატუნირო ცხრილი:

1.სოსიედადი	8	5	2	1	18-4	17
2.რეალი	7	5	1	1	13-5	16
3.ვილიარეალი	8	4	3	1	10-8	15
4.ატლეტიკო	6	4	2	0	13-2	14
5.კადისი	8	4	2	2	8-6	14
6.გრანადა	7	4	2	1	9-9	14
7.ბეტისი	8	4	0	4	10-12	12
8.ხეტაფე	7	3	2	2	7-6	11
9.ოსასუნა	7	3	1	3	7-7	10
10.ელჩე	6	3	1	2	6-7	10
11.ბილბაო	7	3	0	4	6-7	9
12.ბარსელონა	6	2	2	2	10-6	8
13.ვალენსია	8	2	2	4	11-13	8
14.ალავესი	8	2	2	4	6-9	8
15.ეიბარი	8	2	2	4	5-8	8
16.სევილია	6	2	1	3	6-6	7
17.სელტა	8	1	3	4	5-14	6
18.ლევანტე	7	1	2	4	7-12	5
19.უესკა	8	0	5	3	6-14	5
20.ვალიადოლიდი	8	0	3	5	5-13	3

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლოგრონიესი-ალკორკონი 1:0
ხიხონი-კასტელონი 1:0
მალაგა-ესპანიოლი 0:3

იტალია. სერია ა

ვერონა-ბენევენტო 3:1

სატუნირო ცხრილი:

1.მილანი	6	5	1	0	14-5	16
2.სასუოლო	6	4	2	0	18-9	14
3.იუვენტუსი	6	3	3	0	14-5	12
4.ატალანტა	6	4	0	2	17-13	12
5.ნაპოლი	6	4	0	2	14-7	11
6.ინტერი	6	3	2	1	15-10	11
7.ვერონა	6	3	2	1	8-3	11
8.რომა	6	3	2	1	13-10	11
9.სამპდორია	6	3	1	2	11-9	10
10.ლაციო	6	3	1	2	10-12	10
11.ფიორენტინა	6	2	1	3	10-12	7
12.კალიარი	6	2	1	3	12-15	7
13.ბოლონია	6	2	0	4	11-12	6
14.ბენევენტო	6	2	0	4	10-17	6
15.სპეცია	6	1	2	3	8-15	5
16.პარმა	6	1	2	3	8-13	5
17.ჯენოა	5	1	2	2	5-10	5
18.უდინეზე	6	1	0	5	6-11	3
19.ტორინო	5	0	1	4	10-15	1
20.კროტონე	6	0	1	5	6-17	1

იტალია. სერია ბ

ლეჩე-პესკარა 3:1

საფრანგეთი. ლიგა 2

ამიენი-ტულუზა 0:1

პორტუგალია. პირველი ლიგა

ბრაგა-ფამილიკაო 1:0

ბელგია. ა დივიზიონი

ვარეგემი-კორტრაიკი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-ფენერბახჩე 1:2
ხატაი-სივასი 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ვარტა-ლეგია 0:3

დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ორხუსი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ვარბერგი 1:0
ჰელსინბორგი-მალმიო 0:1

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ბარსელონას ალაბა უნდა

ვინ გახდება კლუბის პრეზიდენტი

ბარსელონის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა კარლეს ტუსკეტსმა განაცხადა, რომ კლუბის საპრეზიდენტო არჩევნები შობა-ახალი წლის დღესასწაულის შემდეგ ჩატარდება. მოგეხსენებათ, კათოლიკურ სამყაროში შობა 25 დეკემბერს არის.

კანონის თანახმად, ბარსამ არჩევნები წინა პრეზიდენტის გადადგომიდან 40-დან 90 დღის ფარგლებში უნდა ჩაატაროს. ჯოზეპ მარია ბართომეუმ კი თანამდებობა გასულ სამშაბათს, 27 ოქტომბერს დატოვა.

ტუსკეტსმა თქვა, რომ დროებითი საბჭო ორშაბათს შეიკრიბა და არჩევნები შობა-ახალი წლის ახლომახლო დათქვა; რასაკვირველია, თუკი პროცესებს კოვიდ 19-ის პანდემია ხელს არ შეუშლის.

კარლეს ტუსკეტსი:

– ამ საკითხების გასარკვევად ჩვენ ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერ არ შევხვედრივართ, მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ დეკემბრის ბოლომდე არჩევნების გამართვა შეუძლებელი იქნება. ასე რომ, არჩევნებისთვის ყველაზე ლოგიკური იანვრის დასაწყისი ჩანს.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა კიდევ ერთხელ დასძინა, რომ ბარსელონა ერთ ნაბიჯს არ გადადგამს კატალონიის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

თუკი ახალი პრეზიდენტი მოღვაწეობას იანვარში დაიწყებს, ის სატრანსფერო საქმიანობაში დაუყოვნებლივ, შუა სეზონიდანვე ჩაერთვება.

რაც შეეხება არჩევნების პროცედურებს, როგორც ირკვევა, ხმის ინტერნეტის საშუალებით მიცემა გამორიცხულია.

ამასობაში საპრეზიდენტო კანდიდატების „ომი“ უკვე დაწყებულია. ერთ-ერთი მთავარი თემა მესის გარშემო იტრიალებს. არგენტინელის მიმართ ინტერესს არ მალავს მანჩესტერ სიტი და მესის ხელში უფასოდ ჩაგდებაზე ზრუნვას აგრძელებს.

მესის ბარსელონიდან წასვლა გასული სატრანსფერო ფანჯრის დროს სურდა, მაგრამ კატალონიაში დარჩა და კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ ეს მის აუცილებლად წასვლას არ ნიშნავს. იმის გათვალისწინებით, თუ ვინ გახდება კლუბის პრეზიდენტი, ლეომ, შესაძლოა, დარჩენა გადაწყვიტოს.

თუმცა, არის კანდიდატი, რომელიც სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს და საკმაოდ უცნაური განცხადებაც გააკეთა.

აი, რა თქვა **პერე რიერამ** მესიზე:

– მე არ გავაკეთებდი ჩემს მაქსიმუმს მესის შესანარჩუნებლად. მან საკუთარი მომავალი თავადვე უნდა განჭვრიტოს. ასევე არ ვარ დარწმუნებული, მას რეალურად სურდა თუ არა კლუბიდან წასვლა. გავიმეორებ – მესის დასარჩენად მაქსიმუმს არ გავაკეთებდი.

ბარსელონის პრეზიდენტობის სხვა კანდიდატი ვიქტორ ფონტი კი აქცენტს დირექტორატზე აკეთებს. ფონტის სპორტულ დირექტორად ხორდი კრუიფის მიყვანა სურს.

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდის, იოჰან კრუიფის შვილის ბარსელონის სპორტულ დირექტორად შესაძლო დანიშვნის საკითხმა უკვე 2-ჯერ გაიჟღერა. აქედან ერთხელ იანვარში, როდესაც ხოზეპ მარია ბართომეუ ჩავისთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. საბოლოოდ, ჩავიმ უარი განაცხადა და გაჟღერდა, რომ ერთ-ერთი მოთხოვნა დირექტორად კრუიფის დანიშვნა იყო.

როგორც ჩანს, ერნანდესს პოზიცია არ შეუცვლია და ამას თავად **ფონტიც** ადასტურებს:

– ხორდი კრუიფის სპორტულ დირექტორად ხილვა ჩავის ერთ-ერთი ოცნებაა. ჩვენ კი მას ვენდობით.

ცოტა ხნის წინ თავად კრუიფმა განაცხადა, რომ მას სპორტული დირექტორის თანამდებობა იზიდავს.

ფონტმა კომენტარი კარლეს პუიოლზეც გააკეთა:

– ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ პუიოლის მსგავსი პიროვნებები კლუბში დაბრუნდნენ. მომდევნო წლებში ის ბარსელონაში უნდა იყოს დასაქმებული.

ფონტს ამჯერად ყურადღება არ გაუმახვილებია პეპ გვარდიოლას დაბრუნებაზე. შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყოს, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება პეპმა ცოტა ხნის წინ თავად გამორიცხა.

ჟოან ლაპორტა ბარსელონის საპრეზიდენტო არჩევნებზე დარეგისტრირებული ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ მან სამომავლო გეგმების დაწყობა უკვე დაიწყო.

ბარსას ყოფილ პრეზიდენტს ჯერ საბოლოოდ არ აქვს გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა დეკემბერ-იანვარში გასამართ არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ უკვე იცის, რას გააკეთებს მონაწილეობისა და მოგების შემთხვევაში.

ლაპორტას ბარსელონის გენერალურ დირექტორად მატეუ ალემანის მიწვევა სურს. ალემანი ამ თანამდებობაზე ვალენსიაში მუშაობდა და ბარსა მის გადმობირებას ერთი წლის წინაც ცდილობდა.

რაც შეეხება ტრანსფერებს: ლაპორტას მთავარ სამიზნედ ამ ეტაპზე მიუნხენის ბაიერნის მცველის დავიდ ალაბას გადმობირება სახელდება. ავსტრიელ უნივერსალს ბავარიულ გუნდთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და ბარსას მისი ხელში უფასოდ ჩაგდების შანსი ექნება.

ევროპა რუსეთში — უეფა ფორმატს ცვლის

თუ ფრანგულ მედიას დავუჯერებთ, ევრო 2020, რომელიც 2021 წელს გაიმართება, დიდი შანსია, რუსეთში ჩატარდეს. როგორც ირკვევა, უეფა სერიოზულად განიხილავს ამ გეგმას.

მთელ მსოფლიოში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია არაპროგნოზირებადია, რაც თავდაპირველ გეგმას, ევროპის ჩემპიონატის 12 ქალაქში ჩატარდეს, აფერხებს. არ არის გამორიცხული, ზაფხულისთვის კიდევ საჭირო იყოს ქვეყნებს შორის მიმოსვლის შეზღუდვები.

ამ ნაწილში უეფას არგუმენტი აბსოლუტურად გასაგებია. მაგრამ რატომ მაინცდამაინც რუსეთში? ალბათ, ერთადერთი მიზეზის გამო – რუსეთმა 2018 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურა უკვე გამზადებულია, სტადიონები აშენებულია და მზად იქნება ევროპირველობის მონაწილეთა სამასპინძლოდ.

აქამდე ცნობილი იყო, რომ მომდევნო ევროპის ჩემპიონატის თამაშები ამსტერდამში (ნიდერლანდები), ბაქოში (აზერბაიჯანი), ბილბაოში (ესპანეთი), ბუქარესტში (რუმინეთი), ბუდაპეშტში (უნგრეთი), კოპენჰაგენში (დანია), დუბლინში (ირლანდია), გლაზგოში (შოტლანდია), ლონდონში (ინგლისი), მიუნხენში (გერმანია), რომსა (იტალია) და სანკტ-პეტერბურგში (რუსეთი) უნდა ჩატარებულიყო.

ამ ქალაქებს, სავარაუდოდ, გამოაკლდება ბაქო. აქ უკვე საქმეში შეიარაღებული კონფლიქტი ფიგურირებს. მთიანი ყარაბაღის მოვლენების გამო აზერბაიჯანში ჩასვლა უსაფრთხო არ იქნება.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 2. საინფორმაციო საშუალება; 3. ლითონის ბაგირი გემზე; 5. გერმანელი მწერალი; 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. რაიმე მოქმედების აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი; 12. ძვირფასი კალმების მწარმოებელი ფირმა; 14. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 15. სამხედრო ფორმის შარვალი; 16. მდინარე ოზურგეთში.

თარაზულად: 1. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 4. კოჯრის, ტაბახმელის, წავკისის ძველი საერთო სახელწოდება; 7. პორტუგალიური ღვინო; 9. თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 11. ისრაელის პარლამენტი; 12. პირობითი სასჯელი; 13. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 17. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 18. მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 19. კბილების ავადმყოფური კრაჭუნი ძილში; 20. გეომეტრიული სხეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შავლეგო; 2. ეთიკა; 3. მალთაყვა; 4. ხირხატი; 5. შერმადინი; 9. ვექილი; 12. ყეენობა; 14. პუებლო; 15. დუდა; 17. სტუკო; 18. ერბო.

თარაზულად: 6. დავითი; 7. გაბრიაძე; 8. ალუპკა; 10. გარდა; 12. ნოქალაქევი; 13. შპინდელი; 16. ხერესი; 19. რიტორიკა; 20. სოლფეჯიო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაბი; 2. შარჟი; 3. შტირია; 5. აშული; 6. ბოლივუდი; 8. ონომასტიკა; 10. ანტრაშა; 12. სანაცია; 14. ლეჩაქი; 15. ტანინი; 16. ონიმა.

თარაზულად: 1. პანეში; 4. დათვები; 7. ვარანი; 9. იგრიკა; 11. ლოსიონი; 12. სტიუარდი; 13. ორბანი; 17. ელეგია; 18. მილი; 19. სიკოფანტი; 20. ბარახასი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2438

ევრო — 3.7761

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1900

100 რუსული რუბლი — 4.0307

ამინდის პროგნოზი 4 ნოემბრისათვის

ოლე გუნარ სოლსკიაერი: „სტაბილურად თამაში არ გამოგვდის“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ მის გუნდს სტაბილურად თამაში არ გამოსდის და ამის გამო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა იოლი არ იქნება.

სოლსკიაერის აზრით, ეს რამდენიმე მიზეზის ბრალია:

– ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ სტაბილურ შედეგს ვერ ვაღწევთ და კარგ მატჩებს მუდმივად ფიასკოები მოსდევს ხოლმე. ამ ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რადგან სხვა შემთხვევაში არაფერი გამოვა.

ბოლო შეხვედრა ინგლისის ჩემპიონატში მანჩესტერ იუნაიტედმა არსენალთან 0:1 წააგო.

ანჩელოტის ევერტონში ისკოს მიყვანა სურს

კარლო ანჩელოტის თავის გუნდში მადრიდის რეალის ნახევარმცველ ისკოს ხილვა სურს, რომელთან ერთადაც მას უმუშავია, ამიტომ კარგად იცის მისი შესაძლებლობები.

ისკო ბოლო პერიოდში არცთუ ხშირად ხვდება რეალის ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ მისი წასვლა საკმაოდ რეალურია. თუმცა სამეფო კლუბი ისკოს იაფად გაყიდვას არ აპირებს და, შესაძლოა, ეს ევერტონისთვის პრობლემა იყოს.

ისკოს კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ჯერჯერობით მას ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმებია.

გვარდიოლა: „აგუეროს დაბრუნება დაგვეტყო“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მის გუნდს სერხიო აგუეროს დაბრუნება დაეტყო და კარგი შედეგები დიდწილად სერხიოს დამსახურებაა, თუმცა სხვა ფეხბურთელების დავიწყებაც არ შეიძლება:

– მიხარია, რომ აგუერო დაგვიბრუნდა, რადგან მისი არყოფნა გუნდზე უარყოფითად მოქმედებდა. სერხიო ისევ მაღალ დონეზე თამაშობს, ასაკის მიუხედავად და მისი უნარები კიდევ ბევრჯერ გამოგვადგება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რითი განსხვავდება გამოცდილი სპეციალისტი ახალგაზრდა სპეციალისტისგან?

– ახალგაზრდა სპეციალისტმა არ იცის, როგორ უნდა იმუშაოს, ხოლო გამოცდილმა იცის, როგორ არ იმუშაოს.

•••

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, გინდა, შენი და განახო, რომელიც წერომ მოიყვანა?

– მაგას სჯობია, ის წერო მანახო, რომელმაც და მოიყვანა!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– შენი ცაციობა ხელს არ გიშლის ცხოვრებაში?

– არა. ყველა ადამიანს თავისი განსაკუთრებული ჩვევები აქვს. აი, შენ, მაგალითად, რომელი ხელით ურევ ჭიქაში ჩაის?

– მარჯვენით!

– აი, ხედავ? ნორმალური ხალხი კი – კოვზით.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ თითქმის ფხიზელი ვიყავი!

– მართლა?! და ვინ ჩაასხა ერთი ბოთლი არაყი აკვარიუმში სიტყვებით: „ვაიმე, როგორი სევდიანი გამოხედვა აქვთ?..“

•••

ექიმი ავადმყოფს ეკითხება:

– ჰოროსკოპით ვინ ხართ?

– კიბო.

– რა მშვენიერი დამთხვევაა.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, მოდი, სექსით დავკავდეთ...

– მიდი, დაიწყე და მოვალ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რამაზ პატარიძეს დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ



ანბანის მკვლევარ რამაზ პატარიძეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

დიდუბის პანთეონი 2015 წელს დაიხურა, თუმცა ამჟამად დაიშვა გამონაკლისი და პანთეონი გაიხსნა. რამაზ პატარიძის მამა მთარგმნელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიქელ პატარიძე დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. ტექნიკურად გაჩნდა შესაძლებლობა, რომ მის გვერდით დაკრძალულიყო ბატონი რამაზი, ალტერნატიულ ვერსიად კი განიხილებოდა ვაკის სასაფლაო, სადაც მისი დედა, მეუღლე და ქალიშვილი არიან დაკრძალული.

პოეტისა და მწერლის დავით შემოქმედელის ინფორმაციით, მთაწმინდა უარყოფილ იქნა.

რამაზ პატარიძეს სიონის ტაძარში დაასვენებენ და 5 ნოემბერს უკანასკნელ გზაზე გააცილებენ.

პოეტმა რეზო ამაშუკელმა რამაზ პატარიძეს ღია წერილით ჯერ კიდევ წლების წინ მიმართა:

– ბატონო რამაზ! ნება მომეცით, ჩემი დიდი პატივისცემა, უფრო სწორად, ჩემი უკიდეგანო თაყვანისცემა დაგიდასტუროთ და პატიება გთხოვოთ იმ ქართველობის სახელით, ვინც ნამდვილად იცის თქვენი ფასი და დამსახურება იმის გამო, რომ ჯერჯერობით ერმა ვერ შეძლო, ღირსეულად დაეხარა თავი თქვენ წინაშე.

თქვენი ცხოვრება დღენიადაგ ქვის კოდვას ჰგავს, რომელიც თქვენ მისხალ-მისხალ საქართველოს შესწირეთ დაყუდებული ბერის ასკეტური გაუტეხლობით, რათა ჩვენს ჯიშსა და მოდგმას მომავალშიც ამაყად და თავაწეულს ევლო ამ ცოდვილ, ამღვრეულ და სისხლიან დედამიწაზე.

„აირევი ივერია“ – ეს ორი სიტყვა ისე, სხვათა შორის, ოხვრას ამოაყოლა მე-20 საუკუნის მსოფლიო გენიოსმა და, აჰა, რას ვგავართ ჩვენ დღეს?!

– ვაი, რომ ბევრის, ძალიან ბევრის ძარღვში სისხლის ნაცვლად შარდი მიმოდის და ვინ საით ექაჩება, საით გლეჯს და წიწკნის ამ დედა-დედოფლის კუთვნილ სამოთხეს და უფლის სავანეს?!..

– დედაენა! – აი, ნიშანი და უპირველესი დასტური ჩვენი ქართველობის, ჩვენი არსობის და მარადიული ბეჭედი იმისა, რომ შეუძლებელია მსოფლიო ცივილიზაციის განხილვა იმ ერის წარსულისა და აწმყოს გარეშე, ვისაც ენა და დამწერლობა ეკუთვნის!

აი, ამას, ამ საშვილიშვილო საქმეს ემსახურეთ თქვენ მთელი თქვენი ცხოვრება!

დგახართ ვალმოხდილი, ნაომარი და ნაღვაწი და თავზე დაგნათით ქართული ასოები, როგორც „გუნდი და გუნდი ვარსკვლავი“, როგორც წინაპართა ნათელი, ვინაც თვალისჩინივით გამოატარა ამდენ სისხლის წვიმებში დედაენა, ქართველთა ხელთუქმნელი ანბანი, როგორც გვირგვინი ჩვენი ზნეობის და სულიერების!

– ექმენ, უფალო, მწედ და მფარველად ერისთვის საჩინო და გამორჩეულ რამაზ პატარიძეს!

ლაშა ბუღაძე: „პარლამენტი ხალხის ნებას უნდა გამოხატავდეს!“

მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე ოპოზიციის მიერ პარლამენტში შესვლაზე უარის თქმას ასე აფასებს:

– ის, რომ ოპოზიცია არ შედის პარლამენტში, ნიშნავს ერთს: რომ ოპოზიციის ამომრჩეველი არ აღიარებს „ქართული ოცნების“ მესამედ გამარჯვებას, რადგან ივანიშვილმა არჩევნები მოიპარა გაყალბებით, დაშინებით, სიცრუით, შპანას მიერ იარაღის ტრიალით და ა.შ.

არჩევნები რომ ობიექტურად ჩატარებულიყო, სავარაუდოდ, მივიღებდით იმას, რისთვისაც, სულ მცირე, 2019 წლის 20 ივნისიდან ვიდექით ქუჩაში – პლურალისტურ პარლამენტს, სავარაუდოდ, კოალიციურ მთავრობასა და, საუკეთესო შემთხვევაში – ივანიშვილის რვაწლიანი, უნიჭო და ქვეყნის სუვერენიტეტისთვის სახიფათო მმართველობის დასასრულს, დღეს კი რეალობა ასეთია: 8 წელი მინიმუმ 4 წლით გრძელდება ნაქურდალი არჩევნების წყალობით.

ოპოზიცია კი ამ არშესვლით, უპირველეს ყოვლისა, პატივისცემას გამოხატავს საკუთარი ამომრჩევლის მიმართ, რომელიც ელოდა ცვლილებებს და არა მხოლოდ პარლამენტის დარბაზიდან ოპოზიციური უმცირესობის ხმაურიან და ეფექტურ განცხადებებს, ისევ „ოცნების“ მართვის პირობებში, რაც სულაც არ არის ცოტა, მაგრამ მე, როგორც ამომრჩეველს, ბევრად მეტი მინდოდა ამ არჩევნების შედეგად და ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ამ მეტის შესაძლებლობა თავხედურად და ძალადობრივად წამართვეს, ანუ „არშესვლა“ საპროტესტო ჟესტია, რომელიც იმ რთული პროცესის ნაწილია, წესით და რიგით, ივანიშვილის მარცხით რომ უნდა დასრულდეს, რაც საკმაოდ რთულია და კვლავაც დიდ ფიქრსა და შრომას საჭიროებს. ეს უკვე ვისწავლეთ, რომ ოლიგარქი ერთბაშად ვერ მარცხდება, ბევრის მოლოდინის ან სურვილის მიუხედავად, მაგრამ მის პოლიტიკურ სხეულს ეტაპ-ეტაპ აკლდება „კიდურები“: სრულად პროპორციული ვერ მოვიპოვეთ, მოგვატყუეს, მაგრამ რაღაცა ხომ მაინც წარვსტაცეთ მის ჩაკირულ სისტემას.

ოპოზიცია და მისი ამომრჩეველი ახლაც მორიგი „აგურის“ გამოცლის რთულ პროცესშია ოლიგარქის რეჟიმისათვის, რაც, ცხადია, მხოლოდ ემოციურ ფაქტორს არ უნდა მოიცავდეს, თუმცა არც უემოციოდ გამოვა რამე, ან რა გამოსულა ოდესმე. ხვალ და ზეგ, შესაძლოა, სტრატეგია შეიცვალოს, მაგრამ გაყალბებული არჩევნების მეორე დღეს რომ ოპოზიცია უარს ამბობს ამ ფარსში მონაწილეობისაგან, როცა „ოცნება“, ვიმეორებ, ისევ მოყირჭებულ და არარჩეულ მმართველად გვეჯდება თავზე – მესამე ვადით! კრიტიკული ამომრჩევლის მიმართ ზნეობრივ და სამართლიან აქტად მესახება. პარლამენტი ხალხის ნებას უნდა გამოხატავდეს და არა ოპოზიციის უნებისყოფობას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პრინც უილიამს კოვიდ-19 გადაუტანია

კემბრიჯის ჰერცოგს, პრინც უილიამს მიმდინარე წლის აპრილში კოვიდ-19 გადაუტანია, მაგრამ ეს ინფორმაცია არ გახმაურებულა იმის გამო, რომ ბრიტანეთის მოსახლეობას არ ენერვიულა. ინფორმირებული წყაროს ცნობით, უილიამს კორონავირუსი მძიმე ფორმით ჰქონდა და ფაქტობრივად ლოგინს მიაჯაჭვა. მას შემდეგ, რაც კორონავირუსის ტესტზე დადებითი შედეგი ამოუვიდა, კემბრიჯის ჰერცოგმა გადაწყვიტა, ჩვეულ რეჟიმში გაეგრძელებინა მუშაობა. დაავადება მძიმედ მიმდინარეობდა, რაღაც მომენტში სუნთქვა გაძნელებული ჰქონდა, ამიტომ მის გარშემო ყველა შეშინებული იყო.

ამასთან, პრინცმა უილიამმა გადაწყვიტა, საკუთარი ავადმყოფობის თაობაზე ინფორმაცია არ გაევრცელებინა, ვინაიდან შიშობდა, რომ ეს პანიკას გამოიწვევდა საზოგადოებაში იმ ინფორმაციის ფონზე, რომ კორონავირუსით მამამისი პრინცი ჩარლზი და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი იყვნენ დაინფიცირებული.

კემბრიჯის ჰერცოგს სასახლის ექიმები მკურნალობდნენ და, მათი მითითებების შესაბამისად, ის ოჯახის სახლში, ნორფოლკში მდებარე ანმერ ჰოლში იყო იზოლირებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 ნოემბრისათვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **კურო** – ახალი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრმანქალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 2. მინერალური წყალი სამეგრელოში; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. უღელტეხილი აჭარაში; 5. ფრანგული ვაშლის ღვინო; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 12. ღვთისმეტყველების სპეციალისტი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 15. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 17. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 18. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 6. ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში; 7. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. სამხედრო ნაწილის სატუსაღო; 13. აეროპორტი მადრიდში; 16. ამერიკელი მოცურავე მამაკაცი, ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 20. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება გერმანიაში ძველად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა